საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 230-231-232 (252) სამშაბათი, 26 ნოემბერი, 1991 წელი ფასი 30 კაპიკი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

25 ნოემბერს 14 საათზე მთავრობის სახლის კინოდარბაზში გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს მეორე სესიის მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი აკაკი ასათიანი.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამსახურდია, პრემიერ-მინისტრი ბატონი ბესარიონ გუგუშვილი, რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წევრები.

შიდა ქართლში შექმნილი მძიმე მდგომარეობის შესახებ განცხადება გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ. კერძოდ მან შემოიტანა წინადადება შიდა ქართლში საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შესახებ, რის შემდეგაც მოვითხოვთ საბჭოთა ჯარის ნაწილების ამ ტერიტორიიდან გაყვანას.

სიტყვით გამოსულმა დეპუტატებმა, მათ შორის, ოპოზიციური ფრაქციის წარმომადგენლებმა, გამოხატეს შეშფოთება შიდა ქართლში საბჭოთა არმიის ნაწილების არასამართლებრივი, დანაშაულებრივი მოქმედების შესახებ. წინადადება შიდა ქართლში საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შესახებ დეპუტატებმა ერთხმად მიიღეს.

სხდომის დღის წესრიგის პირველ პუნქტად განიხილეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებების შესახებ. პროექტის განხილვისას შინაგან საქმეთა მინისტრმა დილარ ხაბულიანმა სხდომას გააცნო თბილისის ზღვაზე დისლოცირებული გვარდიის ერთი ნაწილის მიმართვა პრეზიდენტის, უზენაესი საბჭოსა და ქართველი ერისადმი. მიმართვაში აღნიშნულია, რომ შეწყვეტენ ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობას და მზად არიან ემსახურონ სამშობლოს.

ვიდრე სხდომა ამ საკითხებზე დადგენილებას მიიღებდა, გადაწყდა გაეგზავნათ დეპუტატთა ჯგუფი თბილისის ზღვაზე იქ განლაგებული შეიარაღებული დაჯგუფებების ლიდერებთან მოლაპარაკების მიზნით.

სესიაზე განიხილეს და მიიღეს დადგენილებები: „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების იარაღის, საბრძოლო მასალის, მიმოსვლის საშუალებების, სამხედრო ტექნიკისა და სხვა ქონების შესახებ“, „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული საბჭოთა არმიის, სასაზღვრო ჯარების, სამხედრო-საზღვაო ფლოტის კუთვნილი იარაღის, საბრძოლო მასალის, მიმოსვლის საშუალებების, სამხედრო ტექნიკის, სამხედრო ბაზებისა და სხვა ქონების შესახებ“, „ვ. ა. რაზმაძის საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“, „ვ. გ. აბაკელიას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“, „ვ. გ. აბაკელიას საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორად დანიშვნის შესახებ“, „ო. ს. ბებიას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ არჩევის შესახებ“. „ე. ე. ნიჟარაძის საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ“, „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ“, „ა. გ. რეხვიაშვილის საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ“, „საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სახელმწიფო დეპარტამენტის შექმნის შესახებ“, „ზ. პ. კოპალიანის საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრად დანიშვნის შესახებ“.

სხდომამ გვიან ღამემდე გააგრძელა მუშაობა.

თედო ნიკოლაიშვილის

ფოტოები.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ზვიად გამსახურდიას

გენერალური მდივნის სახელით დიდ მადლობას მოგახსენებთ კეთილი სურვილებისათვის გაეროს 46-ე წლისთავთან დაკავშირებით. გენერალური მდივანი განსაკუთრებით მიესალმება თქვენს მიერ გამოხატულ მხარდაჭერას ამ არნახული შესაძლებლობების დროს — როცა გზა ეხსნება საერთაშორისო თანამშრომლობას მშვიდობის შემდგომი განმტკიცებისათვის, ადამიანთა უფლებების დაცვისა და მსოფლიოში საზოგადოებრივი პროგრესისათვის, რამდენადაც ჩვენი ქარტიის იდეებს ყოველთვის ვემსახურებით, თქვენ შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ ჩვენს მზადყოფნაში.

ვირენდა დეიელ, კაბინეტის უფროსი, გაეროს გენერალური მდივნის აღმასრულებელი სამსახური.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პრესსამსახურის
განცხადება

ამას წინათ ვენაში გაიმართა მწერალთა მსოფლიო ორგანიზაციის — საერთაშორისო „პენ“-ის 56-ე კონგრესი, რომლის დევიზი იყო „თავისუფლების ახალი სტრუქტურები. ლიტერატურა: დიაგნოზი და მკურნალობა“.

კონგრესმა რუსეთის ცენტრის რეკომენდაციით მიიღო რეზოლუცია საქართველოს მწერალთა შესახებ. საეჭვოა, რომ ეს რეზოლუცია შინაარსითა და ფორმით ქართული ლიტერატურის კარგ დიაგნოზად და მით უმეტეს მკურნალობის კარგ კურსად მივიჩნიოთ.

რეზოლუციის ავტორები ამტკიცებენ, ხელისუფლებმა და მათმა პრესამ ჩვენი კოლეგები „ქართველი ხალხის მტრებად“ გამოაცხადეს და ამიტომ სოლიდარობას ვუცხადებთ „ყველანაირი ფორმის რეპრესიების წინააღმდეგ პირისპირ დგომაში“.

საყურადღებოა, რომ რუსმა მწერლებმა, რომლებიც ამ საერთაშორისო ასოციაციაში ქართველი კოლეგების შესვლის საკითხს აყენებდნენ, ვერა და ვერ დაასახელეს, რომელი ქართველი ლიტერატორია გამოცხადებული ხალხის მტრად და რა ფორმის რეპრესიებს განიცდის იგი. არც გასაკვირია, რადგან საქართველოს ახლანდელ ოფიციალურ ხელისუფალთ ქართველი ინტელიგენცია არასოდეს არ გამოუცხადებიათ „ხალხის მტრად“, მეტიც, ჩვენ არც ერთი ინტელიგენტი არა გვყავს, რეპრესიის მსხვერპლი რომ გამხდარიყოს.

სამართლიანობისათვის უნდა ითქვას, რომ ამა წლის სექტემბერ-ოქტომბერში მომხდარ მასობრივ უწესრიგობებში და ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებულ მოქმედებაში მონაწილეობისათვის საქართველოს სამართალდამცველმა ორგანოებმა რამდენიმე კაცი დააკავეს, ამ თვეების ამბებს კი საქართველოს პარლამენტმა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის კვალიფიკაცია მისცა.

დაბეჯითებით ვთხოვთ ამ რეზოლუციის ავტორებს დაასახელებინონ თავიანთ ინფორმატორებს მათი მოსაზრების დამამტკიცებელი საბუთები, ფაქტები და რეპრესირებული მწერლები.

ძიებაში მყოფ აღნიშნულ პირებს არასგზით არ შეიძლება ვუწოდოთ „ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწენი“ ან საქართველოს მწერალი.

თბილისი. 1991 წლის 23 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის განმტკიცებისა და მისი ეკონომიკის დაცვის მიზნით **ვბრძანებ:**

1. დადგინდეს, რომ ყველა საქმეებზე, რომლებიც სუვერენული რესპუბლიკების (სახელმწიფოების) მოსარჩელეების მოთხოვნით განიხილება საქართველოს რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლოებში, სახელმწიფო ბაჟი გადახდილ იქნას საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, რისთვისაც საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ გამოიყოს სპეციალური ანგარიში.

2. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საარბიტრაჟო სასამართლომ დაიყვანოს წინამდებარე ბრძანებულება სუვერენული რესპუბლიკების (სახელმწიფოების) შესაბამის საარბიტრაჟო ორგანოებამდე.

3. ბრძანებულება ძალაში შედის 1991 წლის 1 დეკემბრიდან.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 22 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბრძანებულება

ი. ო. ანდრიაძის ქ. თბილისის მერის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს ირაკლი ონისიმეს ძე ანდრიაძე ქალაქ თბილისის მერის თანამდებობიდან.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 24 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის

დადგენილება

ზ. გ. გომართელის საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის დირექტორის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი **ადგენს:**
დაინიშნოს **ზაურ გაიოზის** ძე გომართელი საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის დირექტორის პირველ მოადგილედ.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
ბ. გუგუშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის კანცელარიის მმართველი
ა. ლანდია.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის

დადგენილება

თბილისის ვაჟა-ფშაველას № 11 საარჩევნო ოლქში გამოკლებული დეპუტატის ნაცვლად არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით

თბილისის ვაჟა-ფშაველას № 11 საარჩევნო ოლქში საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატობის კანდიდატის რეგისტრაციის გაუქმებასთან დაკავშირებით, რომელიც რეგისტრირებული იყო „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 39-ე მუხლის მე-4 ნაწილის დარღვევით, ცენტრალური საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. იმის გამო, რომ საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატი აღარ დარჩა, დაინიშნოს არჩევნები № 11 საარჩევნო ოლქში 1992 წლის 26 იანვარს;

2. საარჩევნო ღონისძიებები ჩატარდეს თანდართული გრაფიკის შესაბამისად.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ა. ჭირაქაძე

1991 წლის 22 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების თბილისის ვაჟა-ფშაველას № 11 საარჩევნო ოლქში გამოკლებული დეპუტატის ნაცვლად 26 იანვარს დანიშნული არჩევნების საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი

1. საარჩევნო უბნების შექმნა — არა უგვიანეს 15 დეკემბრისა (კანონით განსაზღვრულ გამონაკლის შემთხვევებში — არა უგვიანეს 21 იანვრისა);

2. საოლქო საარჩევნო კომისიის მისამართისა და ტელეფონის ნომრების გამოქვეყნება — არა უგვიანეს 10 დეკემბრისა;

3. საარჩევნო უბნების ნომრების, მისამართებისა და საზღვრების გამოქვეყნება — არა უგვიანეს 18 დეკემბრისა;

4. საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის განცხადებების წარდგენა პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების შრომითი კოლექტივებისა და სხვათა მიერ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებად წარდგენისა და დანიშვნის შესახებ — არა უგვიანეს 22 დეკემბრისა;

5. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილისა და ორი წევრის დანიშვნა საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ — 23-24 დეკემბერი;

6. სრული შემადგენლობით საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება — 24-25 დეკემბერი;

7. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა — 26-27 დეკემბერი;

8. საუბნო საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობის, მისამართისა და ტელეფონის ნომრის გამოქვეყნება ადგილობრივ გაზეთებში — დაუყოვნებლივ;

9. საარჩევნო ოლქებში დეპუტატობის კანდიდატთა წარდგენა:

ა) პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მიერ საბუთები წარედგინება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არა უგვიანეს 30 დეკემბრისა;

ბ) ამომრჩეველთა ჯგუფების მიერ განცხადება წარედგინება საოლქო საარჩევნო კომისიას, რის შემდეგაც მათ შეუძლიათ დაიწყონ მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვება — არა უგვიანეს 19 დეკემბრისა;

გ) ამომრჩეველთა ჯგუფების მიერ დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატების საბუთების (მხარდამჭერთა სია, კანდიდატის თანხმობა) წარდგენა საოლქო საარჩევნო კომისიისათვის 15-23 დეკემბერი;

10. მხარდამჭერთა სიების შემოწმება და მათზე პრეტენზიების მიღება — სიების მიტანიდან არა უგვიანეს მე-5 დღისა;

11. შესწორებული საბუთების წარდგენა საოლქო საარჩევნო კომისიისათვის — არაუგვიანეს 31 დეკემბრისა;

12. დეპუტატობის კანდიდატების რეგისტრაცია საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ:

ა) პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების კანდიდატებისა — წარდგენიდან არა უგვიანეს მე-3 დღისა (რეგისტრაციის ბოლო თარიღია 2 იანვარი);

ბ) დამოუკიდებელი კანდიდატებისა — წარდგენიდან არა უადრეს მე-5 დღისა და არა უგვიანეს მე-10 დღისა (რეგისტრაციის ბოლო თარიღია 2 იანვარი);

13. დეპუტატობის კანდიდატთა მოწმობების გაცემა — კანდიდატთა რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში;

14. საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებულ დეპუტატობის კანდიდატთა შესახებ მონაცემების წარდგენა ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის — არა უგვიანეს 4 იანვრისა;

15. რეგისტრირებულ დეპუტატობის კანდიდატთა სიის გამოქვეყნება რესპუბლიკურ და ადგილობრივ გაზეთებში — არა უგვიანეს 4 იანვრისა;

16. დეპუტატობის კანდიდატთა წინასაარჩევნო პროგრამების გამოქვეყნება ადგილობრივ გაზეთებში — კანდიდატთა რეგისტრაციიდან 10 დღის განმავლობაში;

17. ნდობით აღჭურვილ პირთა რეგისტრაცია საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ და მათთვის სათანადო მოწმობების გაცემა — განცხადების წარდგენიდან 3 დღის განმავლობაში;

18. დეპუტატობის დამოუკიდებელ კანდიდატთა მხარდამჭერთა სიების განადგურება (თუ არაა შეტანილი საჩივარი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ან სასამართლო ორგანოებში) — 6 იანვარი;

19. ამომრჩეველთა სიების გამოკვრა საარჩევნო უბნებში — 11 იანვარი (კანონით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში — 24 იანვარი);

20. ამომრჩეველთა მოსაწვევი ბარათების დარიგება — 12-21 იანვარი (კანონით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში — 22-24 იანვარი);

21. ხმის მიცემის ჩატარება — 26 იანვარი 7-დან 20 საათამდე;

22. ხმების დათვლა საარჩევნო უბნებში — 26 იანვარი;

23. საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საჩივრების მიღება საარჩევნო უბნებში კანონის დარღვევის შესახებ — არა უგვიანეს 27 იანვრისა;

24. არჩევნების შედეგების დადგენა საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ — 27-28 იანვარი;

25. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ საჩივრების მიღება საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების გამო — 29-30 იანვარი.

საზღვარგარეთ

მძიმე ბრძოლები მიმდინარეობს აღმოსავლეთ ხორვატიაში. ფედერალურმა არმიამ მას შემდეგ, რაც ქალაქი ვუკოვარი აიღო და სერბთა ავტონომიის დედაქალაქად გამოაცხადა, ახლა ქალაქ ოსიეკს უტევს. არმიამ ოსიეკიდან 25 კილომეტრზე მდებარე ერთადერთი გამაგრებული სოფელი ლასლოვო დაიკავა. ხორვატიის პრეზიდენტმა ფრანიო ტუჯმანმა ტელევიზიით გამოსვლისას აღნიშნა, რომ ფედერალური არმია ცდილობს ხორვატიაში გაეროს ჯარების შემოყვანამდე რაც შეიძლება მეტი ტერიტორია დაიკავოს. სხვადასხვა მონაცემებით სერბებმა ხორვატიის ტერიტორიის ერთი მესამედი დაიკავეს. ერთი დღით ადრე ხორვატიის და სერბიის ლიდერებმა ტუჯმანმა და მილოშევიჩმა ჟენევაში ხელი მოაწერეს რიგით მე-14 ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებას. შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი საირუს ვენსი, რომელიც გაეროს თხოვნით ცდილობს იუგოსლავიის კრიზისის მოწესრიგებას, აღნიშნავდა, შეთანხმებამ შესაძლოა შედეგი გამოიღოსო. მაგრამ ასე არ მოხდა. ბრძოლები ახალი ძალით გაჩაღდა. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ სერბიასთან ომში ხორვატია მარცხს მარცხზე განიცდის. ამის მიზეზად მათ იუგოსლავიაში იარაღის შეტანაზე ემბარგოს დაწესება მიაჩნიათ. ემბარგომ ხორვატია ძალიან დაასუსტა და თანდათან გამოიკვეთა სერბიის სამხედრო უპირატესობა. აღვნიშნავთ, რომ ხორვატია სლოვენიასთან ერთად იუგოსლავიიდან გამოყოფას ცდილობს, სერბია კი ამის წინააღმდეგია.

ტაჯიკეთში მიმდინარეობს პრეზიდენტის არჩევნები. დუშანბედან იუწყებიან, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 80 პროცენტმა. როგორც შუა აზიის სხვა რესპუბლიკებში, ტაჯიკეთშიც ბოლო დროს გაძლიერდა ისლამის ფასეულობებისადმი სწრაფვა, თუმცა რესპუბლიკას ჯერჯერობით კომუნისტები ხელმძღვანელობენ. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ კომუნისტთა ბატონობის მიუხედავად მათ ლიდერს რაჰმონ ნაბიევს ისეთი უპირატესობა არა აქვს, როგორც მოელოდნენ. მისი მთავარი მოწინააღმდეგის კინორეჟისორ დავლათ ხუდონაზაროვის შანსები სრულიადაც არ არის ცუდი. არჩევნებზე დამსწრე მეთვალყურეების აზრით შესაძლოა გამარჯვებულის გამოსავლენად მე-2 ტური გახდეს საჭირო.

დიდი მღელვარებაა აზერბაიჯანში. ბაქოში მრავალათასიანი მიტინგი გაიმართა. სიტყვით გამოსული ორატორები პრეზიდენტ აიაზ მუთალიბოვის გადაყენებას, სომხეთთან მკაცრი კურსის გატარებას და საკუთარი შეიარაღებული ძალების შექმნას მოითხოვდნენ. მღელვარების მიზეზია ყარაბაღში ვერტმფრენის დაღუპვა, რომელშიც აზერბაიჯანის მთავრობის მაღალი თანამდებობის პირები, აგრეთვე რუსეთის ფედერაციისა და ყაზახეთის ექსპერტები იმყოფებოდნენ. აზერბაიჯანს მიაჩნია, რომ ვერტმფრენი სომხებმა ჩამოაგდეს. სომხები ამას უარყოფენ და აღნიშნავენ, კატასტროფა ვერტმფრენის გაუმართაობის შედეგიაო. შევახსენებთ, რომ სომხეთის რესპუბლიკა უკვე მე-3 კვირაა, რაც გაზს არ იღებს, რადგან გაზსადენი აზერბაიჯანის მხრიდან გადაკეტილია. იუწყებიან, რომ რიგგარეშე სესიაზე რესპუბლიკაში საგანგებო მდგომარეობას გამოაცხადებენ.

დაიწყო რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის ანდრეი კოზირევის ოფიციალური ვიზიტი შეერთებულ შტატებში. იგი შეხვდება ქვეყნის ფინანსური წრეების წარმომადგენლებს, სახელმწიფო მდივანს ბეიკერს და პრეზიდენტ ბუშს, რომელსაც ელცინის მოწვევას გადასცემს. კოზირევი ბუშს წარუდგენს რუსეთის ფედერაციის სრულუფლებიან წარმომადგენელს შეერთებულ შტატებში ანდრეი კოლოსოვსკის.

რადიოსადგურ ბი-ბი-სის ცნობით რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბორის ელცინის ვიზიტმა გერმანიაში ეკონომიკურ-ფინანსური თვალსაზრისით დიდი შედეგი არ მოიტანა. იგივე რადიოსადგური იუწყება, რომ ინდოეთი ყაზახეთში საელჩოს გახსნას აპირებს, ხოლო რუსეთის ფედერაციაში — სრულუფლებიანი წარმომადგენლობის.

არსებობა შეწყვიტა ბრიტანეთის კომუნისტურმა პარტიამ, რომელშიც 10 ათასი კაცი იყო გაერთიანებული. ახლა აპირებენ, რომ ამ პარტიას მემარცხენე დემოკრატიული პარტია უწოდონ.

ტოკიოში გაიმართა შვიდი ყველაზე უფრო განვითარებული ქვეყნის ფინანსთა მინისტრების შეხვედრა, რომელმაც სხვა საკითხებთან ერთად განიხილა საბჭოთა კავშირის საგარეო დავალიანების გადახდის პრობლემები.

ირანი და **უნგრეთი** შეთანხმდნენ უნგრეთში ნავთობის ექსპორტის შესახებ. წელიწადში უნგრეთი ირანიდან 2 მილიონ ტონას მიიღებს.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბრძანებულება

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში პროფესიული კავშირების უფლებების უზრუნველყოფის შესახებ

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში მშრომელთა სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების გამოხატვის და დაცვის საქმეში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პროფესიული კავშირები.

ყოფილმა საბჭოურ მოდელზე აგებულმა პროფესიულმა კავშირებმა არსებობის მანძილზე დაამტკიცა სიცოცხლის უუნარობა თავისი უმოქმედობით და მმართველი პარტიის უსიტყვო მორჩილებით, მშრომელთა ინტერესების იგნორირებით.

რესპუბლიკაში მიმდინარე საბჭოური სტრუქტურების მსხვრევას მხარი აუბა საქართველოს პროფკავშირების 1991 წლის 24 აგვისტოს ყრილობამ, რომლის მიერ შექმნილი პროფკავშირების რესპუბლიკური ცენტრი დგას ეროვნულ პოზიციებზე.

აღნიშნული პროცესების განვითარებას ხელს უშლის პროფესიულ კავშირებში დრომოჭმულ საბჭოურ დარგობრივ სტრუქტურას ამოფარებული დესტრუქციული ძალები და მათ მიერ შექმნილი არასტაბილური ვითარება.

პროფესიული კავშირების უფლებათა უზრუნველყოფისა და მათი საქმიანობისათვის პირობების შექმნის მიზნით **ვადგენ:**

1. საქართველოს პროფესიული კავშირების ერთიანობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს რესპუბლიკური ცენტრი ცნობილ იქნეს მშრომელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის ერთადერთ გარანტად, ყოფილი დარგობრივი კომიტეტების ქონების მემკვიდრედ გამოცხადდეს საქართველოს თავისუფალი პროფკავშირების რესპუბლიკური ცენტრი.

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა, აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელებმა, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, თბილისის მერმა, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პრეფექტებმა, სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, გაერთიანებების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, მიუხედავად საკუთრების და უწყებრივი კუთვნილებისა:

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პროფკავშირების უფლებათა და მათი საქმიანობის ყოველმხრივ უზრუნველყოფის მკაცრ დაცვას, მოქმედი კანონმდებლობისა და საზოგადოდ აღიარებული საერთაშორისო უფლებების ნორმების შესაბამისად.

სოციალურ-ეკონომიკური საკითხების ნორმატიული აქტების მიღებამდე შესაბამის პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად ჩაატარონ წინასწარი კონსულტაციები მშრომელებისათვის უფრო დასაბუთებული და მისაღები გადაწყვეტილებების შემუშავების მიზნით.

1992 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას პროფესიული კავშირების მონაწილეობით რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან შეთანხმებით განიხილონ საკითხი პროფკავშირების კუთვნილი გამაჯანსაღებელი ბანაკების, ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების, სანიტარიულ-საკურორტო, ტურისტული დაწესებულებების ნაწილის სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსება.

1991 წლის ნოემბერ-დეკემბერში საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში ჩატარდეს მოლაპარაკებები 1992 წლის კოლექტიური ხელშეკრულებების (შეთანხმებების) დასადებად ან შეტანილ იქნას ცვლილებები მოქმედ კოლექტიურ ხელშეკრულებებში. გათვალისწინებული იქნას ღონისძიებები სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების რეალიზაციის, მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფის, საბინაო ფონდის პრივატიზირებისას მშრომელთა ინტერესების დაცვის, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების, შრომითი კონფლიქტების თავიდან აცილების, მოქალაქეთა ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური დაზღვევის, საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების გაუმჯობესების და სხვა სოციალური საკითხების გადასაწყვეტად.

რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა, საქართველოს თავისუფალი პროფკავშირების რესპუბლიკური ცენტრის მონაწილეობით, დადგენილი წესის მიხედვით მოამზადოს 1991 წლის საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოზე განსახილველად საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის პროექტი, წინადადებები საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების მიერ სოციალური ანარიცხების ნორმატივების თაობაზე, მშრომელებისა და მათი ოჯახის წევრების სამკურნალო და დასასვენებელი საგზურების შესაძენი თანხების ხარჯების გაზრდისათვის.

რეკომენდაცია მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს დააჩქაროს „პროფკავშირული საქმიანობის შესახებ“ კანონის პროექტის განხილვა და მიღება.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 22 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, მის აღმატებულებას ბატონ ზვიად გამსახურდიას

ბატონო პრეზიდენტო!

საერთაშორისო პროფკავშირული მოძრაობის წევრი 68 ქვეყნის მშრომელთა და პირადად ჩემი სახელით, გვსურს დიდი მადლობა მოგახსენოთ გულითადი მასპინძლობისთვის, საერთაშორისო პროფმოძრაობის მაღალი შეფასებისა და საქართველოს პროფკავშირებისადმი ყოველმხრივი მხარდაჭერისთვის.

თქვენთან პირადმა საუბარმა, თავისუფალი პროფკავშირების რესპუბლიკური ცენტრის ხელმძღვანელებთან, შრომითი კოლექტივების წარმომადგენლებთან, პროფკავშირულ აქტივისტებთან შეხვედრებმა დაგვარწმუნა, რომ საქართველოში ყველა პირობაა შექმნილი პროფკავშირული საქმიანობის ფართოდ გასაშლელად, რაც მშრომელთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვის საიმედო გარანტად გვევლინება.

ჩვენ ყურადღებით ვადევნებთ თვალყურს საქართველოს პროფკავშირებში მიმდინარე პროცესებს და მიგვაჩნია, რომ მათი გადაყვანა ტერიტორიულ-დარგობრივ პრინციპებზე სავსებით შეესაბამება საერთაშორისო პროფმოძრაობაში დამკვიდრებულ თანამედროვე მოდელს.

ჩვენი სურვილია, ბატონო პრეზიდენტო, თქვენი მხარდაჭერა პროფკავშირული მოძრაობისადმი, ესოდენი ზრუნვა მშრომელთა ინტერესების დაცვისადმი გავაცნოთ საერთაშორისო პროფმოძრაობის წევრ ქვეყნებს, ხელი შევუწყოთ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების პარლამენტების მიერ.

ეს ყოველივე თქვენთან, საქართველოს თავისუფალი პროფკავშირების რესპუბლიკური ცენტრის თავმჯდომარესთან — ბატონ ზურაბ ხონელიძესთან შეხვედრების, თქვენი შესანიშნავი რესპუბლიკის გაცნობის შემდეგ, ჩვენს მოქალაქეობრივ მოვალეობად მიგვაჩნია.

გისურვებთ წარმატებებს საქართველოს სრული დამოუკიდებლობის მიღწევისათვის სამართლიან ბრძოლაში.

იოზეფ ტოტი,
პროფკავშირების მსოფლიო ფედერაციის საპრეზიდენტო საბჭოს წევრი, ტრანსპორტის, ნავსადგურების და თევზის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანების გენერალური მდივანი.

განვიხილავთ კანონპროექტს

მიწის რეფორმის გამო

ზოგადი მოსაზრებანი

მიწის რეფორმა, მართალია, ძირეული, მაგრამ მაინც ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია აგრარული რეფორმისა, რომლითაც უნდა დაიწყოს რადიკალური გარდაქმნები სოფლად. ამიტომ, მიწის რეფორმის კანონპროექტის განხილვამდე სასურველი იყო გამოქვეყნებულიყო საქართველოში აგრარული სექტორის განვითარების მთლიანი კონცეფცია (თუ ასეთი შემუშავებულია საერთოდ). კანონპროექტი მიწის რეფორმის შესახებ და აგრარული რეფორმის სხვა კანონები უნდა შეფარდნენ კონცეპტუალურ მიზნებთან მიმართებაში.

კონცეფცია პასუხს უნდა სცემდეს აგრარული სექტორის განვითარების ზოგად საკითხებს: გვინდა თუ არა სურსათით რესპუბლიკის თვითუზრუნველყოფაზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობა? რა სახის ორგანიზაციულ-სამეურნეო ფორმებსა და ინდივიდუალური მეურნეობის რა ტიპებზე უნდა იქნას აღებული ორიენტაცია? შესაბამისად, შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა მიდგომა აგრარულ პოლიტიკაში. მაგალითად, ა) შედარებით შრომატევადი ნატურალურ-სასაქონლო საგლეხო მეურნეობები და აქედან გამომდინარე ეკონომიკის უპირატესად აგრარული კურსი; ბ) დიდი, მაღალინტენსიური, სპეციალიზებული კომერციულ-ფერმერული მეურნეობები და აქედან გამომდინარე ეკონომიკის უპირატესად ინდუსტრიული კურსი; გ) სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამეურნეო ფორმები და მეურნეობების ტიპები, განსაზღვრულნი საქართველოს რეგიონების განსხვავებული ბუნებრივ-ეკონომიკური და სოციალურ-დემოგრაფიული ფაქტორების შესაბამისად. ამ არჩევანზე ბევრად იქნება დამოკიდებული საქართველოს მთლიანი სახის ბედი, მისი განვითარების ზოგადი მიმართულება — სოფელსა და ქალაქს შორის თანაფარდობა, დასაქმება, დემოგრაფიული პერსპექტივა, ცხოვრების წესი და ა. შ.

კანონპროექტი მიწის რეფორმის შესახებ ითვალისწინებს მიწის საკუთრების, მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ინდივიდუალური ფორმების პრიმატს, რაც აუცილებელია სოფლად კერძო ინიციატივაზე დაფუძნებული სამეურნეო საქმიანობის აღორძინება-განვითარებისათვის. ეს იდეა კარგად ეხამება საერთო ეკონომიკური რეფორმის სასურველი მიმართულებით წარმართვას.

პროექტში გაცხადებულია რეფორმის ზოგადი და კერძო მიზნები. ერთ-ერთ მთავარ მიზნად არის დასახული მიწების რაციონალური განაწილება, რომელიც უზრუნველყოფს სოციალურად და ეკონომიკურად მაღალეფექტიან სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, რაციონალურ მიწათსარგებლობას. ყველა სხვა მიზანი არსებითად ემსახურება ამ მთავარი მიზნის მიღწევას. ამიტომ ბუნებრივია კანონპროექტი შეფასდეს სწორედ ამ მთავარ მიზანთან მიმართებაში. უზრუნველყოფს თუ არა პროექტში გათვალისწინებული რეფორმის მექანიზმი ამ სავსებით მისაღები მიზნების მიღწევას? უნდა გაკეთდეს რეფორმის განხორციელების სოციალურ-ეკონომიკური შედეგების მრავალმხრივი გრძელვადიანი პროგნოზი, შეფასდეს ამ პროგნოზების სიახლოვე წამოყენებულ კონცეპტუალურ მიზნებთან. ცხადია, ამ მიმართულებით ჩასატარებელი სამუშაოს მოცულობა დიდი იქნება, თუმცა, ამ ეტაპზევე შესაძლებელია წინასწარი ვარაუდის სახით ზოგიერთი მოსაზრების მოტანა და შესაბამისი დასკვნების გაკეთება.

ზოგიერთი წინასწარი ვარაუდი

რას მოიცავს კანონპროექტი?

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ იგი აგრარული რეფორმის ერთ-ერთი ნაწილია. მაგრამ პროექტის მიხედვით მიწის რეფორმა მეტისმეტად ვიწრო კუთხით წარმოგვიდგება. მისი მოქმედების არეში ექცევა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, საკარმიდამო, საბაღე-საბოსტნე, სააგარაკო და აგრეთვე ნასოფლარებში მიტოვებული მიწები. აუცილებლად მიგვაჩნია ამთავითვე გაირკვეს სხვა მიწების ბედიც.

ასევე აუცილებელია პარალელურად გადაწყდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი ფონდების (ნაგებობების, მანქანა-იარაღების, პირუტყვის და სხვა) საკითხი. მიწის რეფორმა ვერ მოგვცემს სასურველ შედეგებს, თუ ერთდროულად არ განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები სოფლის მეურნეობის წარმოების სხვა საშუალებებით უზრუნველყოფის საქმეში.

რომელი მიწები გაიცემა კერძო საკუთრებაში?

ბუნებრივია, უპირველესად გვაინტერესებს „ინტენსიური" მიწათმოქმედებისათვის განკუთვნილი მიწების — სახნავისა და მრავალწლიანი ნარგავების ბედი. მიწის რეფორმის შედეგად სწორედ ამ მიწებიდან უნდა ველოდოთ არსებითი ეფექტის მიღებას.

კანონპროექტის მიხედვით სახელმწიფო საკუთრებას შეადგენს ის მიწები, რომელთა ნაყოფიერების ამაღლებისათვის, მელიორაციისათვის ან სხვა ამგვარი ღონისძიებებისათვის სახელმწიფოს გაღებული აქვს სახსრები. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ფორმულირებაში მოხვდება მაღალნაყოფიერი მიწების დიდი ნაწილი, კერძოდ, ბაღ-ვენახებიც (მის შესახებ კანონპროექტში ცალკე არაფერია ნათქვამი). თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სახელმწიფო საკუთრებად სხვადასხვა სტატუსით შეიძლება დარჩეს სხვა მიწებიც, დავასკვნით, რომ „ინტენსიური" მიწათმოქმედების მიწებიდან საიმატრიკულაციოდ შეიძლება გაიცეს მხოლოდ სახნავი არამელიორირებული მიწები. ეს მიწები მეტად არათანაბრადაა განაწილებული ტერიტორიულად. მოვიყვანთ რამდენიმე უკიდურეს მახასიათებელს: თანაბარი განაწილების შემთხვევაში ერთი სასოფლო კომლი საიმატრიკულაციოდ მიიღებდა: საჩხერეში — 700 კვადრატულ მეტრს, ჩოხატაურში — 1000, ზესტაფონში — 1500, ამბროლაურში, ზუგდიდში, ხარაგაულში, სენაკში, წალენჯიხაში — 2000, ახმეტაში, გურჯაანში, ლენტეხში, ბაღდათში, ოზურგეთში — 3000-ს. მეორე მხრივ, ბოლნისში — 0,5 ჰექტარს, ახალციხეში — 0,6, დმანისში — 1, მარნეულში, გარდაბანში — 1,2, ახალქალაქში — 1,5, წალკაში — 1,8, თეთრი წყაროში, საგარეჯოში — 2,5, ბოგდანოვკაში — 3 ჰექტარს.

სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის მიერ პრივატიზაციის საკითხებზე ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ მიწათმოსარგებლენი გამოთქვამენ სურვილს საკუთრებად მიიღონ გაცილებით დიდი ფართობი, ვიდრე მათ კანონპროექტი აძლევს საშუალებას. კანონის განხორციელება კი საქართველოს უმრავლეს რაიონებში კერძო საკუთრებად დააკანონებს მხოლოდ იმ მიწებს, რაც დღეს აქვს გლეხს კანონიერ სარგებლობაში; ჩამოყალიბდება უაღრესად წვრილი, არაეფექტიანი გლეხური მეურნეობა. საბაზრო მიმოქცევაში ფაქტობრივად ლეგალიზდება მხოლოდ იმ მიწების ყიდვა-გაყიდვა, რაც დღესდღეობით ფარულად მიმდინარეობს. ბაზარი ფაქტობრივად ვერ მოახდენს მიწის რაციონალურ გადანაწილებას. ამასთან დაკავშირებით, თუ გავითვალისწინებთ მრავალწლიანი ნარგავებისა და მელიორირებული მიწების ტერიტორიულ განაწილებას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათი ჩართვა საიმატრიკულაციოდ გამოსაყოფი მიწების ჩამონათვალში.

ვინ შეიძლება მიიღოს მიწა საკუთრებად?

კანონპროექტში გათვალისწინებულია გარკვეული პრიორიტეტების სისტემა მიწის იმატრიკულაციის პირობით მიღებისათვის. ეს სისტემა ითვალისწინებს არსებით შეზღუდვას — „...კომლის ერთი შრომისუნარიანი წევრი მაინც არ უნდა იმყოფებოდეს სახელმწიფო სამსახურში". სავარაუდოა, რომ ეს შეზღუდვა მეტად მკაცრი იქნება, თუ გავითვალისწინებთ სოფლად მცხოვრებთა ასაკობრივ სტრუქტურას (ქართულ რაიონებში ამ მხრივ უარესი მდგომარეობაა). გასათვალისწინებელია ისიც, რომ სოფლად მცხოვრებთა დიდი ნაწილი, რომელთაც დღეს შეუძლიათ იმატრიკულაციის პირობით მიიღონ მიწა, თხუთმეტწლიანი პერიოდის გავლის შემდეგ თავისი ასაკის გამო ნაკლებ პერსპექტიული მეურნე იქნება. ზემოხსენებული სოციოლოგიური გამოკვლევა კი ადასტურებს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის პერსპექტიული პიროვნების ტიპია 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდა. შესაბამისმა მექანიზმებმა რეფორმების დროს უნდა უზრუნველყონ მათი წახალისება.

უნდა აღინიშნოს, რომ კანონპროექტი საშუალებას აძლევს გარკვეულ ე. წ. მაფიოზურ წრეებს სტრატეგიული და სხვა ნიღბით მფლობელობაში იქონიონ საუკეთესო მიწების დიდი ნაკვეთები და არაკანონიერი გზით მიითვისონ მონოპოლიური რენტის მნიშვნელოვანი ნაწილი. კანონი არ იძლევა ასეთი და სხვა სოციალური და საბოლოოდ ეკონომიკურად უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების გარანტიებს. ასეთი მისწრაფებების გააქტიურებას ადასტურებს ამ ბოლო დროს პრესაში ხელახლა გამოჩენილი იდეები ახლანდელი კოლმეურნეობების ბაზაზე აგროფორმების მოწყობის შესახებ.

პროექტის მე-13 პუნქტის მიხედვით მიწა „სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, საზოგადოებრივ მეურნეობებს... შეიძლება გადაეცეთ საკუთრებად". ვფიქრობთ, ეს პუნქტი საჭიროებს რეგლამენტირებას, თუ ასეთი ტიპის რომელ ორგანიზაციებს და ვისი გადაწყვეტილებით მიეცემათ მიწა საკუთრებად.

პირველსავე ეტაპზე უნდა გადაწყდეს იმ ჩამონაჭრების დაბრუნების საკითხი, რომლებიც გლეხებს კანონიერ სარგებლობაში ჰქონდათ, თუკი არაა ფიზიკური დაბრკოლება ამის განსახორციელებლად. აქ არ არის მოსალოდნელი დიდი გართულებები. ამ მიწების გასხვისება, როგორც წესი, ძველ მესაკუთრესთან ფარული გარიგების გზით ხდებოდა. ეს უმტკივნეულო ოპერაცია ბრუნვაში მოაქცევს საერთო მასშტაბით არცთუ დიდ ფართობს, შედეგი კი მრავალმხრივ საგრძნობი იქნება.

საყურადღებოა ერთი ფაქტორიც: ათწლეულების განმავლობაში ხდებოდა მიგრაცია სოფლიდან ქალაქად. ეს იყო უპირველეს ყოვლისა სოფლის ინტელექტუალური პოტენციალის მიგრაცია, რომელიც სოფლად გასაქანს ვერ პოულობდა და შველას ქალაქში ეძიებდა. ამის გამო სოფელი მეტად დაზარალდა. მიგრანტთა გარკვეული ნაწილი, რომელთაც აქვთ სოფლის მეურნეობის მუშაობის გამოცდილება და სურვილი და არცთუ კარგად მოწყობილი ცხოვრება ქალაქად, შეიძლება ჩაითვალონ პოტენციურ „უკუმიგრანტებად", რომლებიც უეჭველად წაადგებიან სოფელს თავიანთი ინტელექტუალური და სამეწარმეო უნარით. ქალაქელთა მისწრაფება იაქტიურონ სოფლის მეურნეობის სფეროში, გაცხადდა სოციოლოგიურ გამოკვლევაშიც. კანონმა მიწის შესახებ საშუალება უნდა მისცეს ამ ძალების სათანადო რეალიზებას.

რა პერიოდში განხორციელდება მიწის რეფორმა?

მიწის რეფორმის სწორად განხორციელებამ უნდა მოგვცეს საგრძნობი ეკონომიკური ეფექტი მცირე დროის შემდეგ, მნიშვნელოვანი მოცულობის კაპიტალდაბანდებების გარეშე. ეს არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობის პრობლემაა. კანონპროექტით გათვალისწინებული მიწის რეფორმის მექანიზმი ითვალისწინებს ხანგრძლივ პერიოდს. მიწის კადასტრის ხარისხიანად დამუშავება (სხვანაირად მას აზრი არა აქვს) მეტად შრომატევადი საქმეა და მალე ვერ მოხდება. ამასთან, ნაკლებ სანდოა ის ეკონომიკური მახასიათებლები, რომლებიც ახლა გვაქვს მიწის შესახებ. ამდენად შეიძლება მიზანშეწონილიც იყოს ამ საქმის გაკეთება ახალი საადგილმამულო ურთიერთობების ჩამოყალიბების შემდეგ, ხოლო პირველ ეტაპზე ვისარგებლოთ მიწის არსებული უხეში შეფასებებით.

მიწების განაწილების რაციონალურობა და რაციონალური მიწათსარგებლობა თავისთავად მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. მაგალითად, რაციონალურია მიწის მეპატრონე გახდეს ის, ვინც უზრუნველყოფს მის დამუშავებას და კარგ მოსავალს. რაციონალურია მესაკუთრეს იმდენი მიწა ჰქონდეს, რამდენსაც ის ეფექტიანად მოუვლის. ცხადია, როგორც პირველი, ისე მეორე ამ ფაქტორთაგან მეტად ცვალებადია.

ამდენად, სრულიად ნათელია, რომ მიწის პირველი განაწილება, როგორიც კარგი მიზანდასახულობითაც უნდა გაკეთდეს, ვერ იქნება რაციონალური, თუნდაც დროის მცირე მონაკვეთის შემდეგ. რაციონალიზაციის ერთადერთი საშუალება მიწის შემდგომი გადანაწილებაა, რომლის მოქნილი მექანიზმი იმთავითვე უნდა იყოს გათვალისწინებული რეფორმის კანონში. კანონპროექტში გამოყენებული იმატრიკულაციის იდეა სწორედ ამ მიმართულებითაა გამიზნული, მაგრამ მისი ეფექტი პროექტში მოტანილი შინაარსით მრავალ კითხვას ბადებს, კერძოდ, მე-19 პუნქტის თანახმად, იმატრიკულაციის პერიოდში მიწის მეპატრონეს აქვს მოსარგებლის სტატუსი და თუ ზედიზედ ორი წელი არ დაამუშავა მიწა, მაშინ იგი კარგავს უფლებებს ამ ნაკვეთზე. მაგრამ როგორია ამ ნაკვეთის სხვაზე გადაცემის წესი? ვის გადაეცემა იგი? როგორ იქნება აქ დაცული ყოფილი მეპატრონის უფლებები? ვინ აუნაზღაურებს მას გრძელვადიანი მიზნით აქამდე გაწეულ ხარჯებს?

იმატრიკულაციის პერიოდში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთის მეპატრონეს შეიძლება სხვადასხვა ობიექტური გარემოების გამო გაუჩნდეს სურვილი მემკვიდრეს ან სხვა მოქალაქეს გადასცეს ნაკვეთი. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით მიწათმოსარგებლის სტატუსი ამის საშუალებას არ იძლევა.

ადვილი მისახვედრია, ორსავე ამ შემთხვევაში ორმხრივი შეთანხმებით ახალ და ძველ მეპატრონეთა შორის ანგარიშსწორება ფარული ყიდვა-გაყიდვის სახით კანონის გვერდის ავლით მაინც მოხდება. ცხადია, სასურველია ასეთი შესაძლებლობის გათვალისწინება და ამ პროცესის ლეგალიზება.

პროექტის მიხედვით მიწა მოქალაქის საკუთრებად იქცევა მას შემდეგ, რაც იმატრიკულაციის პერიოდში იგი შეასრულებს მისთვის დაკისრებულ ვალდებულებებს, ამრიგად, მხოლოდ ამის შემდეგ ჩნდება მიწის მესაკუთრე სუბიექტი და, მაშასადამე, მხოლოდ ამის შემდეგ ამოქმედდება საბაზრო მექანიზმი. ბაზრის საშუალებით შესაძლებელი გახდება მიწის ხელახლა გადანაწილება და ამით მიწის განაწილებისა და მიწათსარგებლობის რაციონალიზაცია. ეს, რა თქმა უნდა, საბოლოო ანგარიშით კარგია, მაგრამ აქამდე მისვლას პროექტის მიხედვით დიდი დრო (ბარად სულ მცირე თხუთმეტი, მთაში კი ათი წელი) დასჭირდება. ჩვენი აზრით, მიწის რეფორმის პროცესის სასურველი მიმართულებით წარმართვის ასეთი დაყოვნება გაუმართლებელია.

წამოჭრილი პრობლემები სავსებით ადასტურებენ კანონპროექტში შემდეგი შესწორებების აუცილებლობას:

1) შემცირდეს იმატრიკულაციის ვადა 3-5 წლამდე. ვფიქრობთ, 3-5 წლიწადი საკმარისია გლეხმა დაამტკიცოს, რომ შეუძლია მიწის მოვლა, მიწაზე მაღალპროდუქტიული სასაქონლო მეურნეობის გამართვა და გაძღოლა.

2) იმატრიკულაციის პერიოდში მიწის მეპატრონეს უნდა ჰქონდეს არა მიწათმოსარგებლის სტატუსი, როგორც ეს კანონპროექტშია, არამედ მიწის მფლობელის სტატუსი. ამასთან მასვე აუცილებლად უნდა ჰქონდეს ამ პერიოდშივე მიწის გასხვისების შეზღუდული უფლებაც. აქ ვგულისხმობთ ორ მომენტს: მფლობელს უნდა ჰქონდეს გარკვეული გარიგებით (შესაძლოა იჯარით) მიწაზე სხვისი შრომის გამოყენების უფლება (ამას, ცხადია, გვერდს ვერ ავუვლით თუნდაც სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დღევანდელი დეფიციტის პირობებში).

მფლობელს უნდა ჰქონდეს უფლება (ხოლო იმატრიკულაციის პირობის დარღვევის შემთხვევაში იძულებით) გადასცეს მიწა მემკვიდრეს ან სხვა მფლობელს მიწის რეფორმის კომისიის კონტროლით ურთიერთმორიგებით შეთანხმებული სასყიდლის ფასად.

შეიძლება ითქვას, რომ ამ სახით მფლობელობა ფაქტობრივად არის შეზღუდული უფლებით მესაკუთრეობა (აქ შემზღუდავი პირობებია იმატრიკულაციის მოთხოვნები და გასხვისებაზე სათანადო კომისიების კონტროლი). საიმატრიკულაციო ვადის შემდეგ მფლობელს ეხსნება შესაბამისი შეზღუდვები და უმცირდება გასხვისებაზე კონტროლი. ამით იგი ყალიბდება მიწის მესაკუთრედ. ამრიგად, მფლობელობა იქნება გარდამავალი საფეხური კერძო საკუთრებისაკენ.

ეს შესწორებები შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ალტერნატიული, ვინაიდან მეორის დაკანონების შემთხვევაში უკვე თავიდანვე მივიღებთ საადგილმამულო ბაზარს (მეპატრონეთათვის შეზღუდული გაყიდვის უფლებით).

ვინ განახორციელებს მიწის რეფორმას?

კანონპროექტი ითვალისწინებს მიწის რეფორმის სამსაფეხურიანი ორგანოების შექმნას. ვფიქრობთ, ამ საქმეში ბიუროკრატიული გაზვიადება არ იქნება გამართლებული. მათი უფლება-მოვალეობანი უნდა იყოს კანონის მიერ მკაცრად რეგლამენტირებული და ურთიერთგამიჯნული. მათი მუშაობა უნდა წარიმართოს საჯაროდ. ამ ორგანოებში არ უნდა იყოს იმ პირთა სიმრავლე, რომელნიც ამავე დროს მეურნეობებს განაგებენ.

ვფიქრობთ, კანონში რეგლამენტირებული უნდა იყოს მიწის რეფორმის რა დონის ორგანოების გადაწყვეტილებით, რა მოცულობით იქმნება დასახლებული პუნქტებისათვის მიწის სპეციალური ფონდი ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის.

მიწის რეფორმის ორგანოების შესახებ მუხლის 30-ე და 31-ე პუნქტებს შორის შეუსაბამობაა: 30-ე პუნქტის მიხედვით სადაბო, სათემო, სასოფლო მიწის რეფორმის კომისიების თავმჯდომარეებს ამტკიცებს მიწის რეფორმის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე, ხოლო 31-ე პუნქტში ვკითხულობთ, რომ რაიონული კომიტეტის თავმჯდომარეს ირჩევენ რეფორმის რაიონული კომიტეტის წევრები, რომელთა შორის იმყოფებიან ზემოხსენებული სადაბო, სათემო, სასოფლო კომისიების თავმჯდომარეები. ვინ ვის ამტკიცებს და ირჩევს?

მოსალოდნელი შედეგების ყველა დასმული და მრავალი სხვა (ნასოფლარების აღდგენის, რაციონალური მიგრაციის დასაქმების ხელშეწყობის) ასპექტი მოითხოვს დეტალურ შესწავლას კანონის მიღებამდე.

სხვა შენიშვნები და წინადადებები

გამოქვეყნებული კანონპროექტის მიწის რეფორმის კანონის საფუძვლად მიღების შემთხვევაში აუცილებლად მიგვაჩნია აგრეთვე ქვემომოყვანილი კონკრეტული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინება.

საიმატრიკულაციო პერიოდში მიწის გამცემსა და მიწის მიმღებს შორის ურთიერთობის რეგულირებისათვის და უკანასკნელის სამეურნეო საქმიანობის შეფასების იურიდიულ საფუძველს შეადგენს ხელშეკრულება, რომელიც ფორმდება ამ ორ მხარეს შორის. კანონის პროექტის მიხედვით, ხელშეკრულების ფორმას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მიწის რეფორმის კომიტეტი, ამის შესახებ აქ სხვა არაფერია ნათქვამი. ამასთან დაკავშირებით ისმება კითხვა: ხომ არ იქნება ხელშეკრულების ეს პროექტი საიმატრიკულაციო ვადაში მოქალაქეების სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ზემოდან „გეგმიური" დიქტატის განხორციელების ახალი ფორმა? თუ გავითვალისწინებთ ჩვენში არსებული მმართველობის ადმინისტრაციული მეთოდებისაკენ მიდრეკილებებს, მაშინ ასეთი საშიშროების არსებობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ამ ეჭვს აძლიერებს მიწის რეფორმის კანონის პროექტის IV მუხლის მე-16 პუნქტში მოცემული ერთი ასეთი დეტალი: „ისინი (მოქალაქეები) ვალდებული არიან დაამუშაონ მიწა, აწარმოონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია არანაკლებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საშუალო საჰექტარო მოსავლიანობის რაოდენობისა". სოფლის მეურნეობის გაძღოლის ადრინდელი გეგმიური მიდგომა ხომ ძირითადად ამ პრინციპებით მოქმედებდა.

ამ ხელშეკრულების ფორმასა და შინაარსზე ძირითადად დამოკიდებული იქნება თუ ვინ და რამდენი მსურველი გვეყოლება აიღოს მიწა იმატრიკულაციის პირობით, საბოლოო ჯამში კი ამ კანონით მიწის რეფორმის შედეგები, ჩვენი აზრით, ხელშეკრულებაში საკმარისია განისაზღვროს მხოლოდ ის ძირითადი პირობები, რომელთა შესრულებით იმატრიკულაციის ვადაში მოქალაქე შეინარჩუნებს მიწის საკუთრებად მიღების უფლებას.

ეს მოსაზრება კიდევ ერთხელ ადასტურებს ზემოთ დასაბუთებულ მოთხოვნას, რომ იმატრიკულაციით გაცემულ მიწაზე მოქალაქეს უნდა ჰქონდეს მფლობელის და არა მოსარგებლის უფლებები. ეს გამორიცხავდა მოქალაქის სამეურნეო საქმიანობაზე ყოველგვარი დიქტატის შესაძლებლობას.

ჩვენი აზრით, აუცილებელია, კანონში შევიდეს მუხლი, რომლის ძალითაც დაწესდება გლეხურ მეურნეობათა სიდიდის გარკვეული მინიმუმი (რეგიონების შესაბამისობაში), რომლის ქვემოთაც მეურნეობათა დაყოფა მემკვიდრეებზე ან სხვა პირებზე გადაცემისას არ დაიშვება.

პრეამბულა უნდა შესწორდეს და ითქვას, რომ კანონი არეგულირებს რეფორმას და არა საერთოდ საადგილმამულო ურთიერთობებს, აგრეთვე იმას, რომ ეს რეფორმა ძირეულია და ცვლის თვით საკუთრებითს ურთიერთობებს. ამით ხაზი უნდა გაესვას, რომ უარს ვამბობთ მიწათსარგებლობის კოლმეურნეობა-საბჭოთა მეურნეობის სისტემაზე.

დათო ადეიშვილი, გივი ლემონჯავა, ამირან წაქაძე, რევაზ წაქაძე, მამუკა წერეთელი.

გამოხმაურება

პატენტი და საქართველო

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 18, 25 და 30 ოქტომბრის ფურცლებზე გამოქვეყნდა პატენტმცოდნეთა და გამომგონებელთა — ვასილ სამხარაძის, იური ჩხარტიშვილისა და სხვათა საპატენტო თემატიკისადმი მიძღვნილი სტატიები.

პუბლიკაციებში გამოთქმულია მოსაზრებანი, რომელთაც საპატენტო კანონმდებლობისა და საზღვარგარეთის საგამომგონებლო იურიდიული ტრადიციების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობის პირობებში ამ საკითხით დაინტერესებულ მკითხველში შეიძლება გარკვეული გაუგებრობა და შიშიც კი გამოიწვიოს. მოსაზრებას აძლიერებს ის გარემოებაც, რომ „საქართველოს რესპუბლიკის" 1991 წლის 22 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილი „საქართველოს რესპუბლიკის კანონი პატენტების შესახებ" სპეციალური მომზადების გარეშე საპატენტო საქმიანობაში ჩახედვის საშუალებას არ იძლევა.

ქართული ეროვნული პატენტის აუცილებლობის შესახებ პირველად ჩვენი პუბლიკაცია გამოჩნდა გაზეთ „თბილისში" ჯერ კიდევ 1990 წლის 23 მარტს „ვინ განკარგავს ჩვენს უფლებას", სადაც „საავტორო მოწმობების" ინსტიტუტის აბსურდულობა იყო განხილული, მათი ეროვნულ პატენტში გადაყვანის აუცილებლობა და თეზისური გეგმა მისი განხორციელებისა. საუბარი იყო ეროვნული საპატენტო კანონის აუცილებლობაზე და მის მნიშვნელობაზე, როგორც საქართველოს ეკონომიკის მასტიმულირებელ ერთადერთ საშუალებაზე. სამწუხაროდ, ამ პუბლიკაციას სპეციალისტებისა და გამომგონებლების გამოხმაურება არ მოჰყოლია.

შემდგომი პუბლიკაცია, რომელიც ამავე თემას მიეძღვნა, — „კომერცია და საპატენტო პრობლემები" გამოქვეყნდა გაზეთ „თბილისის" 1991 წლის 19 თებერვლის ნომერში, ფაქტობრივად ერთი წლის შემდეგ, მაგრამ კვლავ პატენტმცოდნეების შენიშვნების გარეშე დარჩა, თუმცა უკვე გამომგონებლების ფართო, დადებითი გამოხმაურება გამოიწვია.

საქართველოს საპატენტო საქმიანობის რეორგანიზაციისადმი დამოკიდებულების ეს მოკლე ისტორია ადვილად ხსნის ჩვენი ოპონენტების კვლავ იმ ინერციულ განწყობას, რომელსაც ამჟღავნებს საპატენტო კანონის პროექტის საწინააღმდეგო მოსაზრებები. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ამჟერად იგი „საავტორო მოწმობის" ნაცვლად პატენტის (როგორც იქნა), როგორც სამრეწველო საკუთრების, გამოყენების სამართლის პრიოპრიტეტს ეხება.

შენიშვნების ძირითადი ნაწილი მოდის პატენტის გაცემის იმ სისტემის საწინააღმდეგოდ (განცხადებითი სისტემა), რომელიც საფუძვლად უდევს გამოქვეყნებულ პროექტს. ამიტომ, მოკლედ მოვიყვანთ განმარტებით მასალას და იმ მიზეზებს, რომელთაც განაპირობეს ამ სისტემის პრიორიტეტი, საქართველოს პირობებიდან გამომდინარე.

თანამედროვე ტექნიკური-სამრეწველო მსოფლიო კარგა ხანია საგამომგონებლო საქმის აყვავების ზენიტშია. ეს ტენდენცია ჩვენს გამომგონებლებს კარგად მოეხსენებათ თავის მაგალითზე, როდესაც წლიდან წლამდე იზრდებოდა წარდგენილი გამოგონებების რიცხვი და შესაბამისად ჭიანურდებოდა მისი კვალიფიციური ექსპერტიზისთვის საჭირო დრო. ეს ბუნებრივი პროცესი არა მარტო საბჭოთა კავშირისთვის იყო დამახასიათებელი, არამედ მსოფლიოს ყოველი განვითარებული ქვეყნისთვის, როგორც ევროპის ცენტრში, ასევე ამერიკის კონტინენტზეც.

ჩვენი გამომგონებლებისთვის შეიძლება ახალი აღმოჩნდეს, რომ პატენტის ექსპერტიზული სისტემით გაცემის საშუალო ხანგრძლივობა ოთხ წელიწადზე ნაკლები არ გახლავთ არსად.

საბჭოთა სინამდვილეში „საავტორო მოწმობების" გაცემის დაგვიანებას არავითარი პრაქტიკული კომერციული ზიანი არ მოჰქონდა ავტორისათვის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 50 მანეთს, რომლითაც ორგანიზაცია „აჯილდოვებდა" გამომგონებლებს, და აგრეთვე იმას, რომ „საავტორო მოწმობა" სამეცნიერო შრომასთან იყო მნიშვნელობით გათანაბრებული და ამიტომ განაცხადები გამოგონებაზე იგზავნებოდა პირველი შესაძლებლობისთანავე, გამოგონების კომერციული თუ სამრეწველო ღირებულებისაგან დამოუკიდებლად. მრავალთათვის იგი ასრულებდა „პრესტიჟული ქაღალდის" როლს, მიუხედავად იმისა, რომ კანონით გათვალისწინებული სოციალური ხასიათის შეღავათები რეალურად არ მოქმედებდა.

ყოველივე ამის გამო „საავტორო მოწმობების" მოპოვების სურვილი მანიაკალური დაავადების ფორმას იღებდა ხშირად. როგორც წესი, გამოგონებები ატარებდა ჯგუფურ ხასიათს დაწესებულებაში ადმინისტრაციულ-იერარქიული საფეხურების მიხედვით. სამეცნიერო ლაბორატორიებში, კვლევით ინსტიტუტებსა და საკონსტრუქტორო სამსახურებში ხშირად შეხვდებით ღვაწლმოსილ, დამსახურებულ გამომგონებლებს, რომელთა ასეთი ჯგუფური, გამოუყენებელი, უპერსპექტივო გამოგონებების რიცხვი თვით ედისონსაც შეშურდებოდა.

ამა წლის ზაფხულში „საბჭოთა კავშირმა" თავისი არსებობის ბოლო წელს, დასავლეთის ეკონომიკური წრეების დიდი ზეგავლენის შედეგად, როგორც იქნა, მიიღო პროგრესული საპატენტო კანონმდებლობა, რომელიც მოულოდნელი აღმოჩნდა გამომგონებელთა საზოგადოებისათვის. ამ კანონში, მიუხედავად წინ გადადგმული ნაბიჯისა კვლავ შეიმჩნევა „ძველებური აზროვნების" ელემენტები. ამასთან მას აქვს ერთი ისეთი ნაკლი, რომელზეც ცოტა მოგვიანებით ვისაუბრებთ, რის გამოც კანონი ვერ შეასრულებს დაკისრებულ ფუნქციას.

ახალი კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით წარსულს ჩაბარდა „საავტორო მოწმობების" ინსტიტუტის მავნებლური მექანიზმი და მის მიერ წარმოშობილი უაზრო ტექნიკური შეჯიბრების შესაძლებლობა, თუმცა „საავტორო მოწმობების" კატეგორიებით აზროვნება მემკვიდრეობით შემორჩა ჩვენს აზროვნების წესსა და მეხსიერებას.

პატენტი და შესაბამისი საპატენტო კანონმდებლობა ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის აღორძინების მასტიმულირებელი მექანიზმია და ყოველნაირი კონსერვატიზმის გამოვლინება სახელმწიფოებრივად დამღუპველია! ეს შეეხება ისეთ ქვეყნებსაც, სადაც საპატენტო-საექსპერტიზო სამსახურების საუკუნოვანი ტრადიციები აქვთ, მიუხედავად ამისა, ეს ქვეყნები იძულებული არიან კლასიკური ექსპერტიზის სისტემის წყალობით ტექნიკური სიახლეების კომერციულ ბრუნვაში შეყვანის დამუხრუჭების შიშით გადაუხვიონ პატენტების გაცემის შესანიშნავ ტრადიციულ ექსპერტიზულ სისტემას.

პირველი იძულებითი ნაბიჯი ამ მიმართულებით „გადავადებული ექსპერტიზაა". გადავადებული ექსპერტიზის არსი შემდეგში მდგომარეობს: განმცხადებელი ინარჩუნებს გამოგონების პრიორიტეტს განაცხადის შეტანის თარიღიდან და საკუთარი პასუხისმგებლობით შეუძლია დაიწყოს საკუთარი სავარაუდო გამოგონების ტირაჟირება და შესაბამისად კომერციული მოღვაწეობა. პატენტის მოქმედების ტერიტორიაზე მის მონოპოლიურ უფლებას — გამოგონების წარმოების დაცვას სახელმწიფო ახორციელებს. ფაქტია, რომ გამომგონებელი აღარ ელოდება ექსპერტიზის კომპეტენტურ პასუხს! ეს დაპატენტების შეღავათიანი პირობებია და არა „კანონის გამკაცრება", როგორც ჰგონია პატენტმცოდნეს ბატონ ვასილ სამხარაძეს.

გადავადების დრო სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. ზოგ კანონში ათ წლამდეც კია.

ადვილი წარმოსადგენია, რომ, თუ პატენტის მოქმედების ვადა, მაგალითად, 18 წელია და აქედან ათ წელს საკუთარი პასუხისმგებლობით გიწევთ საქმიანობა, ამ ხნის მანძილზე საქონელმაც შეიძლება დაკარგოს პატენტუნარიანობა, მორალურად მოძველდეს ან კომერციის საგანი ველარ შეადგინოს. **ასე მივდივართ სახელმწიფო ექსპერტიზის საჭიროების უაზრობისაკენ. როგორც გამოდის, ზოგადად საქონლის პატენტუნარიანობაში შეცდომა კომერციული თვალსაზრისით ნაკლებად წამგებიანია, ვიდრე „სრულყოფილი" პატენტის აღებაში დროის დაკარგვა.**

შეცდომის მომენტი რომ მაქსიმალურად გამოირიცხოს, საქონლის პატენტუნარიანობის დაუდასტურებელი ექსპერტიზა თავად უნდა ჩაატაროს პატენტის მაძიებელმა.

„გადავადებული ექსპერტიზის" სისტემა შეიძლება ჩაითვალოს პატენტის გაცემის გარდამავალ, შუალედურ საფეხურად საექსპერტიზო და საგანაცხადო სისტემას შორის. მკითხველი, ალბათ, თავად მიდის დასკვნამდე, რომ აქედან ერთი ნაბიჯიღა გვრჩება პატენტის გაცემის საგანაცხადო სისტემამდე.

სამართლიანობა მოითხოვს აქვე აღინიშნოს, რომ პატენტის გაცემის ექსპერტიზული მეთოდიც **არ იძლევა საქონლის პატენტუნარიანობის მტკიცების ასპროცენტიან გარანტიას** და შეცდომის შემთხვევაში **ნურავის ეგონება,** რომ სახელმწიფო ან საპატენტო სამსახური იკისრებს ფინანსურ პასუხისმგებლობას. სასამართლო ამ შემთხვევაში მხოლოდ აუქმებს უკანონო პატენტს მესამე პირის სასარგებლოდ. გაუქმებული პატენტის ყოფილ მფლობელს დაეკისრება ზარალის ანაზღაურება. ასეთია, ორიოდე სიტყვით და ზოგადად, მსოფლიოს საპატენტო საქმიანობის მდგომარეობა დღეს.

მაშინ, როდესაც ზემოაღწერილ პროცესებს და ტენდენციებს ადგილი აქვს დასავლეთის განვითარებული ქვეყნების საპატენტო საქმიანობაში, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ საქართველოს პირველი საპატენტო კანონმდებლობა ითვალისწინებდეს იმ მიმართულებას, რომელსაც მსოფლიო საპატენტო კანონმდებლობა და პრაქტიკული მოღვაწეობა თანმიმდევრულად ემორჩილება, რომ არაფერი ვთქვათ საპატენტო ექსპერტიზული სისტემის დაუშვებლობაზე საქართველოში საკადრო, ეკონომიკური, ზნეობრივი და უტრადიციო ტექნიკური თვალსაზრისით.

საქართველოს დღევანდელი ტექნიკურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, საკუთარი დამუშავების სასაქონლო პროდუქციის არარსებობის პირობებში პრიორიტეტების მინიჭებისა და პროდუქციის გამოშვების სიჩქარეს, კანონის დროულ ამოქმედებას თუნდაც, ჯერ მხოლოდ, ეროვნულ რეჟიმში, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს წარმოებითი ეკონომიკისთვის ხელფეხის გახსნის მიზნით.

ამას გარდა გვინდა შევეხოთ საექსპერტო საქმიანობის ზნეობრივ მხარესაც, თუ როგორი მემკვიდრეობა დაგვიტოვა „საავტორო მოწმობების" ინსტიტუტმა.

საგამომგონებლო საქმიანობის ოცდაათი წლის პრაქტიკული გამოცდილებით, საექსპერტო საკონტროლო საბჭოებში უშუალო მონაწილეობითა და საკავშირო სამეცნიერო ექსპერტიზის ინსტიტუტის კულუარებში პატენტმცოდნეთა მოღვაწეობის შეფასებისას ვერ გავაცნობიერე, თუ რა საფუძველი იდო იმ მტრულად განწყობილ აბსურდს (სხვა სახელი ალბათ ვერ განსაზღვრავს მის მოღვაწეობას), რომელიც პერმანენტულად მიმდინარეობდა მოსკოვის ე. წ. სამეცნიერო საექსპერტო ცენტრიდან: უვიცობა, არაკომპეტენტურობა, შოვინიზმი, ფორმალიზმი, დაგეგმილი დროის გაყვანა, გამოძალვა თუ ჩემთვის გაუგებარი, კიდევ სხვა, ადამიანური თუ არაადამიანური თვისება.

ადვილი წარმოსადგენია, რა მდგომარეობაში შეიძლება აღვმოჩნდეთ ეროვნული საექსპერტიზო სამსახურის ფუნქციონირების შემთხვევაში **„კულისებსმიღმა კონკურენციის" ტრადიციადამკვიდრებულ სინამდვილეში,** ამას გარდა საქართველოს საპატენტო საქმიანობით დაკავებული სპეციალისტები თავისი ცოდნითა და პროფესიული ცნობიერებით მთლიანად ექვემდებარებოდნენ საკავშირო საექსპერტიზო ცენტრს.

ამიტომ, სტატიების ავტორთა არგუმენტები საქართველოში საპატენტო საექსპერტიზო სისტემის პრიორიტეტის თაობაზე მიუღებელია, როგორც მსოფლიოს საპატენტო საქმიანობის განვითარების დღევანდელი ტენდენციების თვალსაზრისით, ასევე იმ სინამდვილის გათვალისწინებით, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ. **იდეის, ინიციატივის, შრომის, სახელის განძარცვა აქ არა თუ არ ისჯება უტილიტარული სამართლით, არამედ სოციალურ იერარქიულ საფეხურზე აღმატების ფორმაა.**

სტატიების ავტორები საპატენტო საგანაცხადო სისტემაში არაკეთილსინდისიერი კონკურენციისა და პლაგიატობის საფრთხეს ხედავენ. ჩვენის აზრით, ავტორებს მთლად ზუსტად არ ესმით „არაკეთილსინდისიერი კონკურენციის" ცნება.

არაკეთილსინდისიერი კონკურენცია მოსალოდნელია პატენტის მონოპოლიური მოქმედების დროის ყველა შემთხვევაში და იგი დამოკიდებული არ არის გამოგონებაზე პატენტის გაცემის სისტემაზე.

რაც შეეხება „ლეგალიზებულ არაკეთილსინდისიერ კონკურენციას", როგორც საგანაცხადო საპატენტო სისტემის უშუალო შედეგს, მსურს ავტორები დავამშვიდო კონტრშეკითხვით.

ბატონებო, დავუშვათ, თქვენ ბრძანდებით კონკურენტუნარიანი, კომერციული პერსპექტივის მქონე, სავარაუდო გამოგონების განმცხადებელი და შემუშავებული გაქვთ მსოფლიო ანალოგების გათვალისწინებით გამოგონების ფორმულა, რომლის დაპატენტებასაც ესწრაფვით. რა მნიშვნელობა აქვს, ამ შემთხვევაში რომელი სისტემით მოხდება დაპატენტება?

მომავალში, კონკურენციის ყველა შემთხვევაში, არაკეთილსინდისიერი იქნება ის, თუ შემთხვევით, თქვენ მაინც მოგიწევთ საპატენტო სასამართლოს მომსახურებით სარგებლობა. თქვენი სიმართლის დასადგენად, ორივე შემთხვევაში სასამართლომ უნდა განიხილოს თქვენი გამოგონების პატენტუნარიანობის საკითხი იმ განსხვავებით, რომ საპატენტო საექსპერტიზო სისტემის მოქმედებისას ფაქტობრივად მეორედ ჩატარდება შედარებითი ექსპერტიზა, ხოლო საპატენტო საგანაცხადო სისტემისას — პირველად. რა გამოდის?

ექსპერტიზის ჩატარების აუცილებლობის საკითხი დგება მხოლოდ სადავო, განსაკუთრებულ შემთხვევებში.

ახლა საწინააღმდეგო მხრიდანაც შევხედოთ საკითხს. შედის თუ არა პლაგიატორის ინტერესებში საგანაცხადო პატენტში ახალი ტექნიკური იდეით გაუმაგრებელი ფორმულის ჩადება? რასაკვირველია, არა! ეს ხომ წინასწარ განწირული ავანტიურა უნდა იყოს, რომელიც აუცილებლად ამოტივტივდება საპატენტო სასამართლოში.

ამ საქმეში უდიდესი როლი ეკისრება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის საწინააღმდეგო სამართლის ნორმების პარალელურად დამუშავებას, თითოეული ქმედობის კონკრეტულ ჩამოყალიბებას ასეთი ქმედობისთვის გათვალისწინებული სასჯელის კატეგორიების ზუსტ განსაზღვრას თავისუფლების აღკვეთის ნორმის გათვალისწინებითაც კი. **ეს სამუშაო რაც შეიძლება სწრაფად უნდა შესრულდეს საქართველოს სამართალზე მომუშავე კომისიასთან უშუალო კონტაქტით.** თუ ასეთი კანონმდებლობა არ გვექნა, ქართული საპატენტო კანონი, ექსპერტიზული სისტემით იქნება იგი თუ საგანაცხადო მოდელით, ფარატინა ქაღალდად დარჩება.

ახალი საკავშირო საპატენტო კანონმდებლობა ამ თვისებით ხასიათდება. ეს არ გახლავთ კანონის ნაკლი ან ხარვეზი. **ეს არის კანონის საფუძველში ჩადებული უმოქმედობა, განწირულია ის სახელმწიფოც, რომელიც კანონში ხელოვნურად გამოსაძრომს ტოვებს.**

ოპონენტების დანარჩენი შენიშვნები ძირითადად გამომდინარეობს საპატენტო საგანაცხადო სისტემის მიუღებლობის პოზიციიდან და, ამდენად, ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენს ყურადღებას ვერ დაიმსახურებს.

აქვე, მაინც, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ პატივცემულ პატენტმცოდნის ვასილ სამხარაძის ზოგიერთ შენიშვნას.

„იდეა როგორც არასრულყოფილი მიღწევა, ე. ი. ისეთი, რომელსაც ესაჭიროება შემდგომი შემოქმედებითი დამუშავება და დაყვანა ტექნიკური ან ტექნოლოგიური ობიექტის სრულყოფამდე, არ შეიძლება პატენტუნარიანობის კრიტერიუმებს აკმაყოფილებდეს", — წერს იგი.

როგორც ეტყობა, ავტორისთვის უცნობია გამოგონების ფორმირების ან რაიმე სიახლის დაბადების პროცესი, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ გამოგონების ასეთი განსაზღვრება უცნობი არ არის მსოფლიოს საპატენტო ლიტერატურაში.

ყველაფერს, ადამიანის მიერ შექმნილს, პრეისტორიული ხანიდან იდეა უძევს საფუძვლად, მათ შორის უპირველესად გამოგონებას, ბორბლიდან და ბერკეტიდან დაწყებული სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივით დამთავრებული. თუ როგორ იბადება იდეა, არავინ უწყის, არც თანამედროვე მატერიალისტურმა ფიზიოლოგიურმა მეცნიერებამ, არც ფსიქოლოგიამ და პარაფსიქოლოგიამ და არც ფსიქიატრიამ.

რაც შეეხება გამოგონებას, იგი პატენტის სახით სახელმწიფოებრივად განმტკიცებული ტექნიკური იდეაა, რომელიც ჯერ არავის მოსვლია თავში.

ან კიდევ: „ნებისმიერი უცხო ქვეყანა განაცხადს, რომელმაც არ გაიარა რეგისტრაცია იმ ქვეყანაში, რომლის მოქალაქემ თუ იურიდიულმა პირმა უშუალოდ შეიტანა **დაინტერესებულ ქვეყანაში** (კურსივი ჩემია. გ. ე.) საერთაშორისო საპატენტო პრინციპის შესაბამისად არ მიიღებს განსახილველად (იხ. პარიზის კონვენციის მასალები სამრეწველო საკუთრების შესახებ), — ამბობს ავტორი.

ისევ ინერციული შეცდომა. დაინტერესებული ქვეყანა არ არსებობს. არსებობს დაინტერესებული პირი. რაც მთავარია, პარიზის კონვენცია სამრეწველო საკუთრების შესახებ არ შეიცავს ასეთ დისკრიმინაციულ მუხლს! ასეთი შეზღუდვა შეიძლება განახორციელოს მხოლოდ ეროვნულმა საპატენტო სამართალმა, რასაც აკეთებს ახალი საკავშირო კანონი, რომელიც თავისი ბუნებით იყო და რჩება იმპერიული ხასიათისა და გვეჩვენებოდა, როგორც პატრიოტული.

ინტელექტუალური საკუთრების ისეთი ფორმა, როგორიცაა გამოგონება, თავისი ბუნებით ინტერნაციონალურია და გარკვეული დროის შემდეგ ზოგადსაკაცობრიო საკუთრებას წარმოადგენს. **გამოგონების ეროვნული მიზნებით გამოყენების ერთადერთი კრიტერიუმია პატენტის მოქმედების პერიოდში პატენტის მფლობელის სასარგებლოდ გამოგონების ტირაჟირებიდან მაქსიმალური ამონაგების მიღწევა სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად.**

გასაკვირი არ არის, რომ ბატონი ვასილ სამხარაძე ქართული საპატენტო კანონის მიმართ ეროვნული ემოციებით არის განწყობილი და საკმაო დროსაც უთმობს მის კრიტიკულ შესწავლას, მაგრამ ვახტანგ მეექვსისა და ქართული ანბანის მნიშვნელობით ოპერირება, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, მეტად უადგილოა და რაც მთავარია, არავითარი საქმე არა აქვს საქმესთან.

მოგეხსენებათ, საპატენტო კანონმდებლობა არ გახლავთ ქართული ტრადიციიდან გამომდინარე ფენომენი. **ტექნიკური იდეების** — გამოგონებების დაპატენტების ანუ სახელმწიფოებრივი დაცვის აუცილებლობის **იდეა** გაჩნდა მეცხრამეტე საუკუნის ევროპაში, ტექნიკური პროგრესის ცენტრში, საკუთარი გამოგონებების სამრეწველო, მონოპოლიური, კომერციული მიზნებით გამოყენების ხელისშესაწყობად. **ეს მექანიზმი ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკური აღმავლობის ერთადერთი მასტიმულირებელი ფაქტორია თავისუფალი მეწარმეობის პირობებში.** ჩვენ ორი საუკუნით გვიან უნდა შევისწავლოთ ეს და მოდით „საავტორო მოწმობებით" დაჩრდილული ცნობიერებით ნუ დავარიგებთ ფრანგებს ჭკუას როგორი კანონმდებლობა აჯობებდა მათთვის...

იტალიური ოპერა ქართულ სცენაზე იტალიურად უნდა აჟღერდეს, იაპონური კარატე მათი ხმოვანი თანმხლებითურთ უნდა სრულდებოდეს და საქართველოს საპატენტო კანონმდებლობა პარიზის კონვენციის მონაწილე ქვეყნების საპატენტო კანონმდებლობებში უნდა მოვიძიოთ და არა ბრწყინვალე „სამართალში ბატონიშვილის ვახტანგისა"...

ქართული ანბანიც შესანიშნავია, მაგრამ საპატენტო საქმის ანა-ბანა მოითხოვს უფრო საქმიანად მოვეკიდოთ ჩვენთვის უაღრესად რთულ, არატრადიციულ, უცხო ტექნიკურ-კომერციულ სამყაროში გარკვევას.

გაიოზ ერაძე,

ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიდა ქართლი

რა სურთ ოს სეპარატისტებს?

შიდა ქართლში კონფლიქტი იმის რეალურ საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ ეგრეთ წოდებული ოსეთის ავტონომიური ოლქის სეპარატისტული ძალების ანტიქართული მოძრაობა, ახალი პოლიტიკური პროცესი არ არის — იგი სათავეს საბჭოური პერიოდიდან იღებს და წლების მანძილზე შენიღბული იყო.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე ე. წ. ოსეთის ავტონომიურ ოლქში ხელმძღვანელ თანამდებობებზე დაწინაურებული ოსი ეროვნების მუშაკების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეროვნული თვითშეგნების განდიდების ნაციონალისტურ-შოვინისტურმა გრძნობამ წინა პლანზე წამოიწია და თავიანთი მოღვაწეობის მთავარ მიზნად მათ ოსური კადრების დაწინაურება-პრივილეგირება და ქართველთა სრული დისკრიმინაცია დაისახეს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ხელისუფლებისა და მთავრობის თანხმობით ოსმა სეპარატისტულმა ძალებმა საწადელს მიაღწიეს: ოლქის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული თუ კომკავშირული ორგანოების ხელმძღვანელი თანამდებობების აბსოლუტური უმრავლესობა ოსი ეროვნების წარმომადგენლებს ეჭირათ. ქართველ კადრებს მხოლოდ დაბალი თანამდებობებით აკმაყოფილებდნენ, თანაც თანამდებობებზე უპირატესად ისეთ ქართველებს ნიშნავდნენ, რომლებსაც რუსული განათლება ჰქონდათ მიღებული.

საბჭოური წყობილების მეოხებით საკადრო პოლიტიკაში გამარჯვებულმა ოსმა ლიდერებმა თავიანთ „ინტერნაციონალურ" მოღვაწეობაში დიდი ადგილი დაუთმეს შიდა ქართლის, ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის ეროვნულ გათავისებას. ოლქის მმართველ აპარატთან ერთად მთელი ძალით ამოქმედდა ოსური სამეცნიერო ინტელიგენცია. განსაკუთრებით ფართო მასშტაბის სამუშაოები ჩაატარა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივმა. ოსი მეცნიერების გ. თოგოშვილის, ი. გაგლოითის, ნ. ჯუსოითის, ზ. ცხოვრებოვის და სხვათა ვითომდა სამეცნიერო ნაშრომებმა ოსურ მოსახლეობაში დაამკვიდრა მცდარი აზრი, რომ თითქოს მათი საცხოვრებელი ადგილი შიდა ქართლი კი არა, არამედ ოსთა წინაპარი ტომების, ალან-სკვითების ისტორიული სახელმწიფოს განუყრელი ნაწილი იყო. საჯარო გამოსვლებში პრინციპულად მოითხოვდნენ ორი ოსეთის შეერთებას, რათა აღედგინათ წინაპართა სახელმწიფო ძველ ისტორიულ საზღვრებში. ამ „მაღალ მეცნიერულ მოძღვრებას" განსაკუთრებული მნიშვნელობა მაშინ მიენიჭა, როდესაც ამოქმედდა ტრანსკავკასიის როკის საავტომობილო გვირაბი.

საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობისთანავე ოლქში თავი იჩინა აშკარა ანტიქართული მოძრაობის მთავარი მიზნის — ოლქის ავტონომიურ რესპუბლიკად გარდაქმნა-გადაკეთებისა და ორი „ოსეთის" შეერთების ტენდენციამ. უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით გადამწყვეტი ნაბიჯებიც გადაიდგა. საოლქო საბჭოს სესიამ „ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის" გამოცხადების შემდეგ სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში განსახილველად დააყენა ორი ოსეთის შეერთების საკითხი. აღსანიშნავია, რომ საკავშირო ხელისუფლება ამ საკითხის განხილვისას ხელმძღვანელობდა სსრ კავშირის მოქმედი კონსტიტუციით, რომლის თანახმადაც საქართველო სუვერენული რესპუბლიკაა ტერიტორიული ხელშეუხებლობით. ოს სეპარატისტებს ისიც მიეთითათ, რომ საოლქო საბჭოს სესიას არა აქვს ავტონომიური ოლქის საბჭოთა რესპუბლიკად გამოცხადების კონსტიტუციური უფლება. ბოლოს ოლქის სეპარატისტი ხელმძღვანელი მუშაკები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მათი მოქმედება მცდარი იყო, და მორიგ სესიაზე ე. წ. „ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკა" ისევ ავტონომიურ ოლქად გამოაცხადეს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ავტონომიური ოლქი ადმინისტრაციულად რსფსრ იურისდიქციას დაუქვემდებარეს. მიუხედავად ასეთი მცდარი პოლიტიკური მოქმედებისა, ე. წ. საოლქო საბჭოს სესია სსრ კავშირის უზენაესი საბჭოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე დღესაც სვამს ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთების საკითხს.

სწორედ ეს არის ის პრობლემები, რომლებიც დღეს ორი ხალხის კონფლიქტის მთავარ მიზეზადაა ქცეული. ცხადია, ქართველები საკუთარი სიცოცხლის ფასად არ თმობენ მამაპაპურ მიწა-წყალს, არ ცნობენ ე. წ. „ოსეთის ოლქის" თვითმარქვია ხელმძღვანელობას. ქართული სოფლების ბაზაზე შექმნილი საზოგადოებრივი მეურნეობები და საკრებულოები გორისა და ქარელის პრეფექტურებს დაექვემდებარა. ოსურ სოფლებში და ქ. ცხინვალში მცხოვრები ოსები არ ცნობენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს იურისდიქციას და უფლებამოსილებას, აცხადებენ, რომ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე იბრძოლებენ თავიანთი „ისტორიული სამშობლოს" ქართველი დამპყრობლებისაგან (?!) დაცვისა და შენარჩუნებისათვის.

ამ დროს კი, და ეს მკითხველსაც კარგად მოეხსენება, საქართველოს მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ არ იცის ფაქტები უძველეს საუკუნეებში შიდა ქართლის ტერიტორიაზე ოსთა წინაპარი ალან-სკვითების სახლობისა და მათი სახელმწიფოს არსებობისა. ამას ადასტურებს არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ენათმეცნიერული, ისტორიული წყაროები.

ოსმა სეპარატისტებმა, რადგან ისტორიული არგუმენტები ვერ გამოძებნეს, შიდა ქართლის მიტაცების სხვა თეორია წამოაყენეს: მიწა ეკუთვნის იმას, ვინც მასზე ცხოვრობს. მართალია, ეს თეორიაც მცდარი და უსუსურია, რადგან ეს საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის ტერიტორიის ხელყოფის არავითარ იურიდიულ საფუძველს არ იძლევა. ოლქის მოსახლეობის აღწერის სტატისტიკური მონაცემებიდან (თუმცა ე. წ. ოსეთის ოლქის მმართველი წრეების დაკვეთით შედგენილი აღწერა ფორმალურია, რადგან შიდა ქართლში ოსური მოსახლეობის კოეფიციენტი ხელოვნურად არის გაზრდილი) ცხინვალისა და ახალგორის რაიონებში ოს მოსახლეობას ქართული ჭარბობს, ყორნისის რაიონში კი ისინი თანაბრად არიან წარმოდგენილი. ჯავაში და ცხინვალში თავმოყრილია ოსური მოსახლეობის თითქმის 65 პროცენტი. ქალაქი ცხინვალი 10-15 კილომეტრის მანძილზე გარემოცულია ქართული სოფლებით. იბადება კითხვა: თუ ოსი სეპარატისტების მოთხოვნის თანახმად, ცხინვალს ჩრდილოეთ ოსეთს შეუერთებენ, რა ვუყოთ მის ირგვლივ არსებულ ათობით ქართულ სოფელს? საინტერესოა, სად, რომელ ადგილზე აპირებენ საქართველოს რესპუბლიკისა და ოსეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის გავლებას? ოს სეპარატისტთა მოთხოვნების სასარგებლოდ არც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტები მეტყველებს.

მიუხედავად ასეთი პოლიტიკური მდგომარეობისა, ოსი სეპარატისტები აშკარად განაგრძობენ არაკონსტიტუციურ, პროვოკაციულ მოქმედებას რესპუბლიკაში მდგომარეობის დესტაბილიზაციისათვის. ისინი სამხედრო ძალების აშკარა დახმარებით თავს ესხმიან ქართულ სოფლებს. დღე არ გავა, რომ არ დაიღვაროს უდანაშაულო ადამიანის სისხლი. ამ დღეებში მათ რაკეტები დაუშინეს თამარაშენს, ნიქოზს, ქემერტს, ერედვს. სამწუხაროდ, არიან დაჭრილები.

რამდენიმე ხნის წინ ოსი „ბოევიკები" ერედვი-ფრისის გზაზე თავს დაესხნენ გზად მიმავალ „ჟიგულს", მძევლებად აიყვანეს სოფელ დისევის საკრებულოს გამგებელი ანდრო ოქროპირიძე და სოფელ ქსუისის მკვიდრი როლანდ ტოლიაშვილი. როგორც იქნა, მთელმა შიდა ქართლის მოსახლეობამ შეძლო ბარბაროსულად ნაწამები, თვალებდათხრილი, ტყვიებით დაცხრილული ანდრო ოქროპირიძის გვამის გამოხსნა... ჯერჯერობით ვერ მიაკვლიეს რ. ტოლიაშვილის ცხედარს.

ოსი „ბოევიკები" და სსრკ შეიარაღებული ძალების ცხინვალში დისლოცირებული ერთი ნაწილი ჯავშანტრანსპორტიორებით თავს დაესხნენ სოფელ თამარაშენს, დაარბიეს და მძევლებად წაასხეს თამარაშენელები სიმონ მინდიაშვილი, ედვარდ გოგიძე, იოსებ ნასუაშვილი და სკოლის მოსწავლე ზურაბ დათაშვილი, ხოლო შინ მიმავალ ჟურნალისტს, გაზეთ „შიდა ქართლის" კორესპონდენტს ნიკო ოთინაშვილს ჯერ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, მერე კი მძევლად წაიყვანეს.

შიდა ქართლის ქართველი მოსახლეობის სახელით უნდა მივმართო რესპუბლიკის წითელი ჯვრის ორგანიზაციას, ჰელსინკის კავშირს, რომ სასწრაფოდ გააკეთონ მიმართვა წითელი ჯვრის და ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი, რათა მძევლები იხსნან სიკვდილისაგან.

ოსი სეპარატისტები საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების სახელის გასატეხად ყველაფერს ღონობენ, არ ერიდებიან პოლიტიკურ ხრიკებს. რამდენიმე დღის წინ ცხინვალის რუსულ-ოსური სკოლის მოსწავლეებმა სასწრაფო დეპეშები გაუგზავნეს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ბორის ელცინს, თითქოს ისინი შიმშილობენ და ქართველებისგან ფიზიკური არსებობის საფრთხე ექმნებათ.

გვინდა ვკითხოთ ცხინვალელ მოსწავლეებს და მათ დამრიგებლებს: სად არიან ცხინვალის № 1 და № 4 ქართული საშუალო სკოლების თქვენი თანატოლი მოსწავლეები და საერთოდ ცხინვალის ქართველი მოსახლეობა? იქნებ ყოფილი ყორნისის რაიონის ქართველ თანატოლთა ან ძუძუმწოვარ ბავშვთა ტრაგიკულმა ბედმა მაინც შეგაწუხათ. ოსმა „ბოევიკებმა" ათი ქართული სოფელი რომ გადაწვეს, გადაბუგეს და ადგილობრივი ქართველობა დედაბუდიანად მშობლიურ ქვეყანაში ლტოლვილებად რომ აქციეს, ბატონ ბორის ელცინს მათი ტრაგიკული ბედის შესახებ რატომ არაფერი მისწერეთ?

დრო გადის. შიდა ქართლში მცხოვრებ ოსებსა და ქართველებს შორის კონფლიქტი თანდათანობით მწვავდება. ასეთ ექსტრემალურ სიტუაციაში ბუნებრივად იბადება კითხვა: ქართველთა და ოსთა დაპირისპირება ვის აძლევს ხელს? ამ პრობლემას ობიექტურად და გონივრულად უნდა შეხედოს ოსურმა საზოგადოებამ. ოს ექსტრემისტებს ისევ ბოროტების იმპერიის იმედი აქვთ, მაგრამ ისტორიის ჩარხს უკან ვერავინ დააბრუნებს, მალე იმპერია დაიშლება და ყველა ხალხი მიიღებს ნანატრ თავისუფლებას.

საინტერესოა, ანტიხალხური იდეებით შეპყრობილი ოსები ისევ შიდა ქართლში აპირებენ ცხოვრებას?

ვივი ბორცვაძე,
„საქართველოს რესპუბლიკის" საკუთარი კორესპონდენტი.

შევარდნაძის პენიტენციარული სისტემა საქართველოში

ნასხლეტაშვილის ჩვენებანი არავის არ დაუდასტურებია არც წინასწარ და არც სასამართლო ძიებაზე. მისი განცხადება, თითქოს მე მისთვის ფული მომეთხოვოს და ამიტომ დაეწყოს აღურიცხავი პროდუქციის გამოშვება, გამომძიებლების ნაკარნახევი ცილისწამებაა. ჯერ ერთი, მე რომ ნასხლეტაშვილთან პირი შემეკრა, ყოველნაირად დავეხმარებოდი, შენიშვნებსა და გაფრთხილებებს არ მივცემდი და თანამდებობიდან არ გადავაყენებდი. მეორე, ნასხლეტაშვილი არ მემორჩილებოდა, და ჩემს შენიშვნებზე და გაფრთხილებაზე მპასუხობდა: „მე თქვენ არ გემორჩილებით და ეს საკითხი ფაბრიკის დირექტორის ფუნქციაა". ეს ნასხლეტაშვილმა გაიმეორა კიდეც 1971 წლის 8 სექტემბერს ჩემთან დაპირისპირებისას.

როგორც მოგახსენეთ, მომდევნო ძიებისას და სასამართლოზეც ჩემს წინააღმდეგ გამოთქმული ჩვენებები არ დადასტურებულა. ის კი არა, ისიც კი გამოირკვა, რომ მე ალიბი მქონდა და დანაშაულის ჩადენისას თბილისში საერთოდ არ ვყოფილვარ. როცა გამომძიებლები დარწმუნდნენ, რომ მათი შეთითხნილი ცილისწამების ვერსია ჩაიშალა, მათ დაიყოლიეს ნასხლეტაშვილი, რომ დანაშაულის ჩადენის თარიღი შეეცვალა, თანაც დაკითხვის ოქმის ფურცლები ახლით შეცვალეს.

ამრიგად, 1969 წლის 17 ივლისს და შემდეგ 30 ივლისს ვერაფრით ვერ მოვაწერდი ხელს ფიქციურ ზედნადებს, მომდევნო დღეს კი კანონიერ ზედნადებს.

ჩემს სიმართლეს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ № 2 საამქროს ყოფილი მუშა ილია ბუზიაშვილი ფაბრიკიდან 1968 წელს წავიდა და მას შემდეგ აღარავის უნახავს, მაშასადამე, ვერაფრით ვერ დაესწრებოდა იმ მოგონილ ამბავს, თითქოს 1969 წლის ივლისში მისი თანდასწრებით გამომერთვას ნასხლეტაშვილისთვის 12.000 მანეთი. ამასთანავე თბილისის სინთეზური ნაწარმის ფაბრიკისადმი 1969 წლის 1 ივლისის ბრძანებით, 5 ივლისიდან 3 აგვისტომდე შვებულებაში ვიყავი და ჩემს მაგივრობას ტექნიკური განყოფილების უფროსი ინჟინერი, ლომიძე ეწეოდა. ამის დასტურია ისიც, რომ პროფკავშირის საფაბრიკო კომიტეტმა კისლოვოდსკის სანატორიუმ „წითელი პარტიზანის" საგზური მომცა, რაც დაფიქსირებულია.

ასევე აღნიშნულ სანატორიუმში ჩემზე შედგენილია ავადმყოფობის ისტორიის ფურცელი. ქალაქ კისლოვოდსკის მილიციამ დროებით ჩამწერა სანატორიუმ „წითელ პარტიზანში", რაც ასევე დაფიქსირებულია.

1969 წლის 17 ივლისისა და 30 ივლისის ფიქციური ზედნადებების შემოწმებამ ცხადყო, რომ ისინი ფაბრიკის საძნეო ნაწილის გამგის ნასხლეტაშვილის მეგობარსა და ამხანაგს, ამავე ფაბრიკის № 1 საამქროს უფროსს, შემდგომში მსჯავრდებულ თარონიშვილს შეუდგენია და ხელიც მასვე მოუწერია.

ამრიგად, თარონიშვილი და ნასხლეტაშვილი თვითონ ადგენდნენ და თვითონვე აწერდნენ ხელს ფიქციურ ზედნადებებს, შემდეგ კი ეს დანაშაული, გამომძიებელთა კარნახით, ფაბრიკის ხელმძღვანელობას დააბრალეს.

თუ ზემოაღნიშნულ ფაქტებს შევაჯამებთ და იმასაც დავურთავთ, რომ უდავო ალიბი მქონდა, რაც მთლიანად ადასტურებს ჩემს უდანაშაულობას, სისხლის სამართლის საქმის დანაშაულებრივ შეთითხნას და ყოვლად შეუსაბამო განაჩენის გამოტანას, შემიძლია სრულიად საფუძვლიანად ვთქვა, რომ პატიმრობის ადგილებში ყოვლად უკანონოდ გამამწესეს.

თარონიშვილის დაპატიმრებიდან მეთვრამეტე თვეს გამომძიებლებმა გამოიძახეს თბილისის სინთეზური ნაწარმის ფაბრიკის მთავარი ბუღალტერი, 75 წლის მოხუცი გრიგოლ ლუკას ძე მენაბდე და სცადეს მისთვის ყალბი ჩვენებანი გამოეტყუებინათ. მაგრამ მენაბდე ვერ დაიყოლიეს. იმავე დღეს მენაბდეს პირზე დააყენეს თარონიშვილი, რომელმაც ასეთი ჩვენება მისცა: „1968 წელს, თვე და რიცხვი არ მახსოვს, ფაბრიკის დირექტორს პეიშვილს, მთავარ ინჟინერს მაცაბერიძეს და მზა პროდუქციის საწყობის გამგეს ბაღდასაროვს შევუთანხმდი, რომ ვიწყებდი აღურიცხავი პროდუქციის გამოშვებას. ფიქციურ ზედნადებებზე ხელმოწერისთვის გაყიდული პროდუქციის ნავაჭრიდან ფულს ვაძლევდი მხოლოდ ზემოაღნიშნულ პირთ". მენაბდეს თარონიშვილის ჩვენებანი არ დაუდასტურებია. ამის შემდეგ თარონიშვილმა, გამომძიებელთა კარნახით, განაცხადა: „რაკი ჩემს ჩვენებას არ ადასტურებს, იმასაც ვიტყვი, რომ ფიქციურ ზედნადებებზე ხელმოწერისთვის მთავარ ბუღალტერ მენაბდეს ყოველთვიურად 200 მანეთს ვაძლევდი". ამ ცილისწამების შემდეგ მენაბდე დააპატიმრეს.

იმის დასტურად, რომ გამომძიებლები ცდილობდნენ მოტყუებით და დაშინებით გამოეძალათ ყალბი ჩვენებანი, მენაბდის დაყოლიების ფაქტიც გამოდგება.

1972 წლის 3 ივლისს მენაბდემ სასამართლო სხდომაზე განაცხადა: თარონიშვილის პირზე წაყენების წინ გამომძიებელმა ნაჭყებიამ ზედამხედველი პროკურორის კიკაბიძის თანდასწრებით მითხრა: „ჩვენ საუკუნის საქმეს ვაკეთებთ, დაადასტურეთ თარონიშვილისა და ნასხლეტაშვილის ჩვენებანი და შინ გაგიშვებთ, თორემ დაგაპატიმრებთ და ორ-სამ წელიწადს სატუსაღოში გამყოფებთ, ეს კი ნიშნავს, რომ თქვენ ამას ვერ გაუძლებთ და მოკვდებით, ანუ სიკვდილი მოგელით. პატიოსან სიტყვას გაძლევთ, თუ თარონიშვილის ჩვენებას დაადასტურებთ, შინ გაგიშვებთ".

ამრიგად, მენაბდის ჩვენებანი ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ გამომძიებლები თარონიშვილთან და ნასხლეტაშვილთან ერთად ამუშავებდნენ უდანაშაულოთა ცილისწამების ვერსიას. სასამართლო კოლეგიას მხედველობაში არ მიუღია ყოველივე ზემოთქმული და მოხუც მენაბდეს, ზემოდან ზეგავლენით, 10 წლის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ყოველივე ზემოთქმულის გარდა, ბუნებრივად დგება საკითხი, საერთოდ, იყო კი რაიმე დატაცება თბილისის სინთეზური ნაწარმის ფაბრიკაში?

რა არის დატაცება. ეს არის სახელმწიფო ფონდებიდან ანგარების მიზნით რაიმეს აუნაზღაურებლად ამოღება და პირადი სარგებლობისთვის გამოყენება. თუ ასეა, მაშინ წამოიჭრება კითხვა: რომელ სახელმწიფო ორგანიზაციას მიადგა მატერიალური ზარალი? რა ოდენობით? ვინ, როდის და რა გზით მიითვისა ფონდები — ნედლეული, და რამდენი?

სისხლის სამართლის საქმეში საერთოდ არ არის მითითებული ორგანიზაცია, რომელსაც მატერიალური ზარალი მიადგა სახელმწიფო ფონდების — საქონლის მითვისების გამო; არც სასამართლო ძიებას დაუდგენია, რომელმა ორგანიზაციამ იზარალა მატერიალურად დატაცების გამო. არ არსებობს არც ორგანიზაცია, რომელსაც სარჩელი აღეძრას მატერიალური ზარალის ანაზღაურების მიზნით.

თარონიშვილი თავის ჩვენებაში ამბობს: „სავაჭრო მაღაზიებში ვყიდულობდით იაფფასიან პოლიქლორვინილის ნაწარმს, ლაბადებს ვკერავდით და ვყიდდით". ასევე ამბობს ნასხლეტაშვილიც: „სავაჭრო მაღაზიებში ვყიდულობდით კაპრონის სალაბადე ქსოვილს და მისგან „ბოლონიის" ტიპის ლაბადებს ვკერავდით...".

მაშასადამე, ამ შემთხვევაში ისინი სახელმწიფო ორგანიზაციის მოწყობილობით სარგებლობდნენ, თუ, რა თქმა უნდა, ეს ლაბადები კერძო პირთა სახლებში არ იკერებოდა. მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 164-ე მუხლის თანახმად, ჩადენილი დანაშაული უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც კერძომეწარმეობრივი საქმიანობა, და არა სახელმწიფო ქონების დატაცება. ზემოთ განზრახ ვამბობ, შეიძლება ეს ლაბადები კერძო პირთა სახლებში იკერებოდა-მეთქი, მაგრამ გამომძიებლებისგან სიკვდილის სასჯელით დაშინებულებმა, დაპირებული მსუბუქი სასჯელის იმედით, თვითონვე დასწამეს საკუთარ თავს დატაცება, რის დასტურადაც ის გამოდგება, რომ მატერიალურად პასუხისმგებელი პირი, მოწმე ნელი მიხეილის ასული მარტინენკო არც წინასწარი, არც სასამართლო ძიების დროს არ ადასტურებს ამ ჩვენებებს.

თავისთავად წამოიჭრება კითხვა: მაინც, სად კერავდა ნასხლეტაშვილი ამ ლაბადებს? იქნებ კერძო პირთა სახლებში, რის შემდეგაც მზა ლაბადები ფაბრიკაში შემოჰქონდათ და თარონიშვილთან ერთად სარეალიზაციოდ გზავნიდა ზემოაღნიშნული ხერხით?

რაც შეეხება ჩემთვის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 191-ე მუხლის და 229 მუხლის მეორე ნაწილის შეფარდებას, სასამართლო პროცესზე არაერთხელ ვთხოვე სასამართლო კოლეგიას ეჩვენებინათ ან ეთქვათ მაინც ჩემთვის, თუ რა სამსახურებრივი სიყალბე ჩავიდინე და რა ოდენობით და ვისგან შევიძინე ან მივყიდე დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება? სასამართლო კოლეგიამ ვერაფერი მიპასუხა და დუმილი ამჯობინა, მაგრამ ზემოდან მითითებით მაინც დამდო მსჯავრი ამ მუხლების შესაბამისად.

ყოველმა გამოცდილმა მოსამართლემ იცის, რომ საქმის წარმატება დამოკიდებულია პროცესის წარმართვის წინასწარ შემუშავებულ ტაქტიკაზე, ანუ არ შეიძლება პროცესის მონაწილეთაგან რომელიმეს მიეცეს იმის საშუალება, რომ ჭეშმარიტების ძიების გზიდან გადაახვევინოს! ყოველივე ის, რაც სასამართლოზე ხდებოდა, ფორმალობა, თვალთმაქცობა, მოტყუება, აფერა, სიცრუე, ფარსი იყო, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურის და სასამართლო ორგანოებმა გაითამაშეს. ყველაფრის მიხედვით ჩანდა, რომ სასამართლოს ზემოდან ჰქონდა მითითებული, რადაც უნდა დასჯილიყო, ბრალი და მსჯავრი დაედო ყველა განსასჯელისთვის წინასწარ გათვალისწინებული კვალიფიკაციით.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველოს რესპუბლიკა" №№ 202, 203, 206, 217-218, 219, 222, 223-224, 226, 228.

საზღვარგარეთ

შტატებმა უკრაინას გადახედა

რადიოსადგურ „ამერიკის ხმის" ცნობით შეერთებული შტატების პრესა ბოლო პერიოდში საგულდაგულოდ აანალიზებს შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების მთავრობების მიერ უკრაინის დამოუკიდებლობის ცნობის საკითხს. რადიოსადგური აღნიშნავს, რომ ამ საკითხის გადაწყვეტაში დიდი მნიშვნელობა აქვს უკრაინაში პირველ დეკემბერს დანიშნულ სახალხო რეფერენდუმს, რომლის დროსაც მოსახლეობამ უკრაინის დამოუკიდებლობის საკითხი უნდა გადაწყვიტოს, აგრეთვე პასუხი გასცეს კითხვაზე, სურთ თუ არა მათ ახალი სამოკავშირეო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა. ექსპერტთა აზრით უკრაინის მოსახლეობის დიდი ნაწილი დამოუკიდებლობისა და ცენტრთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტის მომხრე იქნება. გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი" მიიჩნევს, უკრაინის დამოუკიდებლობის ცნობის საკითხი შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების მთავრობის მიერ უკვე გადაწყვეტილი არისო. ახლა ლაპარაკია იმაზე, — უკრაინის დამოუკიდებლობა ახლავე ვცნოთ თუ მოგვიანებითო. გაზეთის აზრით უკრაინის მოგვიანებით ცნობის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ ასეთ შემთხვევაში უკრაინა ცენტრთან იძულებული გახდება გარიგება დადოს, რაც დასავლეთ ევროპისა და შეერთებული შტატების ბიზნესისათვის ხელსაყრელიაო. ამავე დროს უფრო ნათლად გაირკვევა, თუ როგორი ხასიათის შეიარაღებული ძალების შექმნას აპირებს ეს ქვეყანა, როგორი მომავალი ექნება მის ტერიტორიაზე განლაგებულ ბირთვულ პოტენციალს და საერთოდ რა ურთიერთობა ექნებათ კიევსა და მოსკოვს. დასავლეთს განსაკუთრებით აინტერესებს, რა როლს შეასრულებს უკრაინა საბჭოთა კავშირის საგარეო ვალების გადახდის საქმეში. უკრაინის დაუყოვნებლივი ცნობის მომხრეები კი ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ უკრაინა ფაქტობრივად უკვე დამოუკიდებელია, რადგან გაეროს წევრი არისო, ახლა საჭიროა ამ ფაქტის საერთაშორისო დიპლომატიური ფორმებით აღიარებაო. ისინი, აგრეთვე ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ უკრაინის დამოუკიდებლობის ცნობის დაგვიანების შემთხვევაში, კიევში, შესაძლოა, ავტორიტარული რეჟიმი დამყარდეს, რომელიც ევროპის მიმართ მკაცრი კურსის გამტარებელი იქნებაო.

საბჭოთა კავშირის დაშლა რომ რეალური ფაქტია, ამას დასავლეთში ძალიან კარგად ხედავენ. რადიოსადგური „გერმანიის ტალღა" ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ დაშლილი საბჭოთა კავშირის ადგილზე ახალი სახელმწიფოები წარმოიშობიან, რომლებიც ჯერ-ჯერობით ვერ ავიდნენ საერთაშორისო-საკანონმდებლო სახელმწიფოებრიობამდეო.

უკრაინის მისამართით ასეთი მსჯელობა შეერთებულ შტატებში და დასავლეთ ევროპაში სრულიად გასაგებია, რადგან იბადება ახალი ძლიერი სახელმწიფო, რომელიც დიდ გავლენას მოახდენს ევროპისა და მსოფლიოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ამავე დროს ქართველ საზოგადოებას აინტერესებს, თუ რატომ უფრო ახლოს არ მიაქვს დასავლეთის პოლიტიკურ წრეებს საქართველოს საკითხი. თბილისმა ხომ უკრაინაზე გაცილებით ადრე განაცხადა იყოს დამოუკიდებელი და სრულუფლებიანი სახელმწიფო.

რა თქმა უნდა, საქართველოს სუვერენიტეტის ცნობის დაყოვნება გარკვეულად გამოწვეულია ჩვენს რესპუბლიკაში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარებით, რომელიც მოსკოვისა და მისი ფარული თუ აშკარა მომხრეების მიერ, აგრეთვე საინფორმაციო საშუალებებით მაქსიმალურად გამწვავებულია, ამავე დროს საქართველოს საერთაშორისო სუბიექტად ცნობის საკითხში დიდ როლს ასრულებს ედუარდ შევარდნაძეც, რომელიც ახლახან კვლავ ჩაუდგა სათავეში საბჭოთა კავშირის საგარეო უწყებას. მის პოზიციას საქართველოს საერთაშორისო ცნობის საკითხში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ ეს გადამწყვეტი ფაქტორი სრულიადაც არ არის, ვაშინგტონსა და მის მოკავშირეებს ჩვენზე უფრო პატარა და ბუნდოვანი პოლიტიკური ორიენტაციის ქვეყნებიც უცვნიათ. საკითხი უფრო ღრმა არის და იგი ვაშინგტონ-მოსკოვის გლობალურ-სტრატეგიულ ინტერესებშია გადახლართული.

ჩვენი გაზეთის მკითხველი თავის მოკლე მიმოხილვაში „დასავლეთის პარადოქსული პოლიტიკა", რომელსაც აქვე გთავაზობთ, ამ მოსაზრებას თავისებურად ანვითარებს და ამიტომ, ვფიქრობთ დაგაინტერესებთ.

გურამ სიხარულიძე,
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" პოლიტიკური მიმომხილველი.

დასავლეთის პარადოქსული პოლიტიკა

ყველა, ვინც კი ოდნავ მაინც არის ჩახედული თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში, პირდაპირ განცვიფრებულია; რატომ არ უჭერს შეძლებისდაგვარად მხარს შეერთებული შტატები და დასავლეთ ევროპა საბჭოთა იმპერიიდან გამოსვლის მოწადინე რესპუბლიკებს. რა ხდება, რა აჭამა მათ გორბაჩოვმა ისეთი, რომ „საღი აზრი" დაკარგეს და „ბოროტების იმპერიის" დაშლის წინააღმდეგ გამოდიან.

ცოტა არ იყოს, უცნაური ჩანს; „დასავლეთმა" ამდენი ღონე შესწირა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლას და ახლა, როცა მიზანთან ასე ახლოა, იგივე იმპერიის შენარჩუნების მომხრეა.

ამის შესახებ მრავალი რამ უკვე ითქვა (გორბაჩოვის „რეფორმატორული როლი", საბჭოთა კავშირის დაშლით გამოწვეული ქაოსი, ბირთვული იარაღის საფრთხე და ა. შ.), ამიტომ მათი გამეორება აღარ არის საჭირო. მგონი, მთავარი არ თქმულა. შევეცდები ჩემი მოსაზრება გავიზიაროთ.

თავიდან უნდა ითქვას ერთი რამ. საბჭოთა კავშირის დაშლის წინააღმდეგი „დასავლეთში" ბევრია, მაგრამ მათი ერთიანობა სხვადასხვა მიზეზით არის გაპირობებული. არსებული მდგომარეობის შენარჩუნება უნდათ მათ, ვინც ასე თუ ისე მოერგო დღევანდელ ცხოვრებას (საქმოსანთა გარკვეული წრეები, სამხედრო კომპლექსი, მმართველობა). და ეს იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირსა და დანარჩენ სამყაროს შორის ურთიერთობა გაძნელებულია, საქმოსანთა გარკვეული წრეები დიდ მოგებას ნახულობენ. მათ არ სურთ მოგების ხელიდან გაშვება, ამდენად, მდგომარეობის შეცვლა. შეერთებული შტატების სამხედრო კომპლექსი, მოგეხსენებათ, „ბოროტების იმპერიის" საპირისპიროდ გაიზარდა და გამაგრდა. იგი თითქმის დამოუკიდებელ ძალად იქცა და „მტრის" განადგურება მისი დამარცხებაც იქნება, ესეც, რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის დაშლის საწინააღმდეგოდ მოქმედებს. ასევე „ბოროტების იმპერიის" დასაპირისპირებლად გაძლიერდა შეერთებული შტატების საპრეზიდენტო აპარატი, მეტი „წონა" შეიძინა და, ახლა, ზედმეტი ქონის დაყრა უჭირს.

კიდევ არის სხვა მიზეზებიც, მაგრამ მათი გამოდევნება არ ღირს იმიტომ, რომ ზემოჩამოთვლილი „მიზეზები" არაარსებითია და „ამინდს", მაინცდამაინც, ვერ ქმნის.

მთავარი მიზეზი, ჩემი აზრით, სხვა არის.

ერთი რამ, მგონი, ცხადია. „დასავლეთს" რუსული საფრთხის სამუდამოდ მოსპობა სურს. როგორ მიიღწევა ეს მიზანი?! ექვსი პაწაწინა რესპუბლიკის ჩამოცილება და მათი ცნობა თუ გადაწყვეტს საკითხს? რა თქმა უნდა, არა! პირიქით, „ჯანსაღ" სხეულს ექვსი „მუწუკი" მოსცილდება და სხეული მომაგრდება (გარკვეული დროით). იგი კიდევ დიდხანს შეინარჩუნებს შემტევ (აგრესიულ) ძალას.

ამიტომ სხეულს მუწუკები უნდა შერჩეს და მთელი სხეული დაალპოს.

ვთქვათ, თოთხმეტივე რესპუბლიკა ჩამოშორდა რუსეთის ფედერაციას. არც ამით ეშველება საქმეს. მთავარია რუსეთის ფედერაციის დაშლა. იგი მით უფრო სწრაფად დაიშლება, თუ მისივე დამანგრეველი ძალა (რესპუბლიკები) შიგვე დარჩება.

ვთქვათ, მოხდა სანატრელი და რუსეთის ფედერაციაც დაიშალა. მაშინ, დარჩება მთელ მსოფლიოს სამტროდ მოკიდებული რუსეთი (ავტონომიური რესპუბლიკების გარეშე) — ძლიერი, აგრესიული, ერთ მუშტად შეკრული, ბირთვული იარაღით აღჭურვილი... მოკლედ, ტკბილი ძილის საშუალება მაინც არ ექნება დანარჩენ მსოფლიოს.

სანამ რუს ადამიანში (უმრავლესობაზე მოგახსენებთ) არ აღმოიფხვრება იმპერიული მისწრაფება, მანამ მიზანი განუხორციელებელი იქნება.

რა აღმოფხვრის რუსში აგრესიულ მისწრაფებას?

მოგეხსენებათ, იმპერიული მისწრაფება არ აქვს წმინდა დემოკრატიულ სახელმწიფოს. რუსეთში დემოკრატიის მიღწევა კი ერთობ ძნელი საქმეა; ისევ ის იმპერიულობა უშლის ხელს.

მიზნის მისაღწევად ერთი გზაღა რჩება; რუსეთი პოლიტიკურად და ეკონომიკურად ისე უნდა დაჩაჩანაკდეს, რომ სულის შენარჩუნების ერთადერთ მხსნელად დემოკრატიული წყობილება გამოჩნდეს (ეს ასეც არის — დემოკრატია ეკონომიკური აღორძინების ერთადერთი საშუალებაა).

„დასავლეთის" შეფარული აზრით საბჭოთა კავშირის დაშლა თვითმიზანი არ არის, მთავარია, თავად რუსეთის დანგრევა (არა რსფსრ-ს). კარგა ხანია გამოკრთა აზრი, რომ თავად რუსეთიც (როსია) უნდა დაიშალოს 6-7 დამოუკიდებელ სახელმწიფოდ — ვთქვათ, ლენინგრადის მხარის, მოსკოვის მხარის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის და ა. შ. მხოლოდ ასე დაშლილი რუსეთი, შეიძლება, შემობრუნდეს დემოკრატიისკენ და აღმოიფხვრას იმპერიული მისწრაფებები (დაახლოებით თხუთმეტი წლის, ახალი თაობის გამოჩენის შემდეგ).

ეს მიზანი რომ ასრულდეს, გარკვეული ძალისხმევაა საჭირო. ღვთის მადლით (რუსი იმპერიული პოლიტიკოსების მეოხებით) რუსეთი სწორედ ამ გზას ადგას და საკმაოდ სწრაფი ნაბიჯით მიდის. მთავარია („დასავლეთის" აზრით), ხელი არ შეუშალონ ამას. რესპუბლიკების ნაადრევად ჩამოცილება კი სწორედ ხელის შეშლა იქნება. თუ ცენტრმა კიდევ კარგა ხანს არ მოიშორა მუწუკები, საბჭოთა კავშირში ისეთი ამბავი ატყდება, ძაღლი პატრონს ვეღარ იცნობს; ხალხი დაიმშევა, უკმაყოფილება მოედება ყველას, ამბოხებები დაიწყება რესპუბლიკებშიც და, რაც მთავარია, თვით რუსეთშიც (როსიაში). ეს გამოიწვევს რუსეთის რამდენიმე ქვეყნად დაყოფას (შეუძლებელი იქნება მოსკოვიდან, ვთქვათ, შორეული აღმოსავლეთის მართვა). „დასავლეთი" მხოლოდ ამის შემდეგ დაეხმარება მათ და შეეცდება, დემოკრატიული წყობილებები დამყარდეს „ნანგრევებზე".

ისე, კაცმა რომ თქვას, „დასავლეთს" სწორი პოლიტიკა აქვს არჩეული — მე რომ მათი მოქალაქე ვიყო და შორიდან ვუყურებდე აქაურობას, მომეწონებოდა კიდეც. მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო მიჭირს შეწირულ პაიკად თავის წარმოდგენა. არადა, დიდი პოლიტიკა ჭადრაკის თამაშს ჰგავს; პარტიის მოსაგებად პაიკებს დაუნანებლად წირავენ ხოლმე.

ედუარდ ყიფიანი.

იზრდება უმუშევართა არმია

სანქტ-პეტერბურგი. რაც უფრო ახლოვდება დრო, როცა რუსეთის ჩრდილოეთის დედაქალაქი თავისუფალი ეკონომიკური ზონის სტატუსს მოიპოვებს, მით უფრო მატულობს აქ უმუშევართა რიცხვი. ასეთი სავალალო დასკვნა გამოაქვთ ექსპერტებს მოსახლეობის დასაქმების შესახებ სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნების შემდეგ. ეს მონაცემები მოწმობს, რომ ნახევარზე მეტი, ვისაც სამუშაო არა აქვს, ქალები არიან. როგორც წესი, მათ მნიშვნელოვან ნაწილს საკანცელარიო სამსახურის გარდა ბევრი არაფერი შეუძლია, ამიტომ შრომის ბაზარზე თავს მყარად ვერ გრძნობენ. მოსალოდნელია საინჟინრო-ტექნიკურ მუშაკთა და განსაკუთრებით იმათი შემცირების აშკარა ტენდენცია, ვისაც უმაღლესი განათლების გარეშე ეკავა ინჟინრის თანამდებობა. მოქმედებას იწყებს ბაზრის კანონი: ადმინისტრაცია, რომელიც ცდილობს შეინარჩუნოს საწარმო, თავიდან იშორებს ბალასტს.

უმუშევართა მნიშვნელოვანი წილი მოდის 25-დან 30 წლამდე ასაკის ადამიანებზე. ახალგაზრდებს, როგორც წესი, არც ითხოვენ და არც ამცირებენ: ჩვეულებრივ ისინი თავად მიდიან, რადგან არ აკმაყოფილებთ შრომის პირობები, წარმოების განვითარების დონე.

ნევის რაიონის დასაქმების ცენტრი ერთ-ერთი ყველაზე დიდია ქალაქში. ატმოსფერო კეთილმოსურნეა, მოსამსახურენი თანაგრძნობით ხვდებიან თავიანთ „კლიენტებს". გავესაუბრე ერთ-ერთ მათგანს — ნატალია პავლეს ასულს.

— თხუთმეტ წელზე მეტი ვიმუშავე, ახლა კი შემამცირეს...

— ხომ არ გიცდიათ საკუთარი საქმე გაგეხსნათ?

—...არა, ვერ ვბედავ, ასაკიც აღარ მიწყობს ხელს.

დაახლოებით ასეთივე საუბარი გაიმართა ძერჟინსკის რაიონის დასაქმების ცენტრშიც. აი როგორ განმარტა შექმნილი სიტუაცია მისმა ხელმძღვანელმა ვერა ზუბკოვამ:

— ბევრი ჩვენი თანამოქალაქე ახლა ძნელი არჩევანის წინაშე დგას. იგივე ინჟინრებს, მაგალითად, რომლებზეც ახლა მოთხოვნა შემცირდა, ვერ წარმოუდგენიათ თავი გამყიდველად, მკერავად ან ოფიციანტად. საკუთარი საქმის გახსნას ვერ ბედავენ, არ ენდობიან სახელმწიფოსაც, ზოგიერთს კი ფიზიკური და მორალური ძალები არ ყოფნის. ჩვენ შეძლებისდაგვარად ვცდილობთ ადამიანს გამოვუნახოთ სამუშაო მისი სურვილისამებრ. მას შეუძლია მიიღოს ახალი სპეციალობაც — იაროს ბუღალტრის, ეკონომისტის, ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანის ოპერატორის კურსებზე. შემკვეთ საწარმოებთან გავაფორმეთ „გეგმების ოქმები", რომელთა მიხედვით კურსდამთავრებულს სამუშაო ადგილი გარანტირებული აქვს.

უმუშევართა რიცხვის ზრდის მიუხედავად, ქალაქში ამჟამად ათასი ვაკანტური სამუშაო ადგილია. სწორედ მათზე იღებენ ორიენტაციას დასაქმების ცენტრები. ამა წლის 1 ივლისიდან, როცა პეტერბურგში დაიწყო უმუშევართა რეგისტრაცია, 16 ოქტომბრამდე ასეთ ცენტრებს მიაკითხა 40 ათასზე მეტმა კაცმა. ამათგან სამუშაო მიიღო ხუთი ათასზე მეტმა, საწარმოთა განაცხადებით კი სულ 27.466 თავისუფალი სამუშაო ადგილია.

პაატა არჩვაძე.

შიდსი ჩეხეთში

ჩეხეთის რესპუბლიკას ემუქრება შიდსის ეპიდემია. მან შეიძლება იფეთქოს ნებისმიერ წუთს, მიაჩნიათ ჩეხეთის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს. ჟურნალისტებთან შეხვედრაზე მათ განაცხადეს, რომ ჩეხეთში 21 კაცი დაავადებულია იმუნოდეფიციტით, 166-ს შეეყარა ამ საზარელი დაავადების ვირუსი. სინამდვილეში მედიკოსები ვარაუდობენ, რომ ინფიცირებული გაცილებით მეტია — დაახლოებით ორი ათასი კაცი. ბევრს არ სურს გაიაროს სისხლის ტესტირება. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ჩეხეთში ცუდად არის ორგანიზებული შიდსის პროფილაქტიკა. ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში, უწინარეს ყოვლისა, ახალგაზრდობაში პრაქტიკულად არ არის. ასეთი საგანგაშო მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზია რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის ცუდი მატერიალური უზრუნველყოფა. ვთქვათ, მოკლე სიუჟეტი შესაბამის თემაზე ტელევიზიით ღირს 17 ათასი კრონი. ასეთი ფული მედიკოსებს უბრალოდ არ აქვთ.

უნგრეთის პოზიცია

უნგრეთი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაებას იუგოსლავიის კონფლიქტში. ეს აიხსნება სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის ეკონომიკურითაც, — განაცხადა გაზეთ „მადიარ ხირლაპისათვის" მიცემულ ინტერვიუში უნგრეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა გეზა ესენსკიმ.

შეგვიძლია ვამტკიცოთ, — აღნიშნა საგარეო-პოლიტიკური უწყების მეთაურმა, — რომ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკების ხალხების შემდეგ უნგრეთი სხვა ქვეყნებზე მეტად არის დაინტერესებული ამ ქვეყანაში სიტუაციის მშვიდობიანი მოწესრიგებით. ამავე დროს სამწუხაროა, რომ სერბიაში, მაგალითად, ძალიან ძლიერია განზრახვა წარმოადგინონ უნგრეთი მოწინააღმდეგედ. უნგრეთის მხარეს არაერთგზის აღუნიშნავს, რომ ერთნაირად სცემს პატივს როგორც ხორვატიელი სერბების, ასევე ხორვატების უფლებებს. ამავე დროს განცვიფრებას იწვევს ის გარემოება, — თქვა საგარეო საქმეთა მინისტრმა, — რომ პასუხისმგებელი სერბი ხელმძღვანელები აკეთებენ განცხადებებს, რაც „ნებადართულია ხორვატიელი სერბებისათვის, ის ნებადართული არ არის ხორვატიელი უნგრელებისათვისო".

იუგოსლავიაში კონფლიქტის მოწესრიგების ინტერესებისათვის, აღნიშნა ესენსკიმ, საჭიროა „გავაშველოთ და დავაშოშმინოთ მეომარი მხარეები". ამას გარდა კონფლიქტის რაიონში უნდა შეიქმნას მნიშვნელოვანი ზომის ნეიტრალური ზონა, რომელსაც გააკონტროლებენ საერთაშორისო შეიარაღებული ძალები, ხაზგასმით აღნიშნა უნგრეთის დიპლომატიური უწყების მეთაურმა.

პორტუგალია შარზეა

მართალია, პორტუგალია მდებარეობს ევროპის უკიდურეს დასავლეთში, მაგრამ ბოლო დროს აქაც გამოჩნდნენ ლტოლვილები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან და საბჭოთა კავშირიდან. ფრთხილად ეკიდებიან მათ ადგილობრივი ხელისუფლები, რომლებმაც დღემდე ვერ შეძლეს შეეჩერებინათ ლტოლვილთა ნაკადი აფრიკის თავიანთივე ყოფილი კოლონიებიდან.

უცხოელების საქმეთა სამსახურის მონაცემების თანახმად, ბოლო ორი წლის მანძილზე აღმოსავლეთ ევროპის მოქალაქეებისაგან ასზე მეტი განცხადება მიიღეს, რომლებშიც გამოთქმულია თხოვნა მიანიჭონ მათ პოლიტიკური ლტოლვილის სტატუსი. მაგრამ ყველა თხოვნა, რომ იტყვიან, უპასუხოდ არის დატოვებული. ადგილობრივი ხელისუფლები ასეთ ლტოლვილებს უწოდებენ „ეკონომიკურ" და არა პოლიტიკურ ლტოლვილებს.

1991 წლის ექვსი თვის მანძილზე იმ საქმეების მიხედვით, რომლებსაც განიხილავენ რამდენიმე წლის განმავლობაში, პოლიტიკური ლტოლვილის სტატუსი მიიღო მხოლოდ 24 კაცმა, ძირითადად პორტუგალიის ყოფილი კოლონიების წარმომადგენლებმა. როგორც უცხოელების საქმეთა სამსახურის წარმომადგენელმა განმარტა, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მოქალაქეებისათვის საკმაოდ ძნელია წარმოადგინონ პოლიტიკური რწმენის გამო მათი დევნის ფაქტები, ურომლისოდ ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

პრესკონფერენცია ბრიუსელში

ევროპის უსახლკაროთა დახმარების ეროვნულ ორგანიზაციათა ფედერაცია აპირებს მიაღწიოს იმას, რომ „საერთო ბაზრის" ქვეყნებმა მიიღონ კანონები ბინის უფლების შესახებ, განაცხადა ბრიუსელში გამართულ პრესკონფერენციაზე ფედერაციის წარმომადგენელმა მერი კოლინზმა. მიგვაჩნია, რომ ბინის უფლება ნიშნავს ნორმალური ბინის მიღების უფლებას, ხაზი გაუსვა მან.

პრესკონფერენციის დროს აღინიშნა, რომ სამ მილიონამდე კაცი ევროპის აყვავებულ დედაქალაქებში ბინის ფიზიკურ გაჭირვებას განიცდის. მარტო ბელგიაში, სადაც დღემდე მოქმედებს შუა საუკუნეების კანონები, რომლებითაც ისჯებიან მაწანწალობისათვის, წელს დასაჯეს დაახლოებით 600 უსახლკარო. კიდევ ათასამდე კაცი ალბათ ჩაჯდება საპატიმროში, რათა რაიმე თავშესაფარი მაინც ეპოვოს. ლონდონსა და პარიზში ხელისუფლები უბრალოდ ყურადღებას არ აქცევენ უსახლკაროებს.

ამავე დროს ევროპის გაერთიანების ქვეყნებში აღინიშნება საბინაო მშენებლობისათვის მთავრობის ხარჯების მკვეთრი შემცირება. ევროპის უსახლკაროთა დახმარების ეროვნულ ორგანიზაციათა ფედერაციის აზრით, უსახლკარო ადამიანთა რიცხვი ისეთ ქალაქებში, როგორიცაა ლონდონი და პარიზი, გაიზრდება.

ინტერვიუ

ჩვენი გაზეთის სტუმარია საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი ქალბატონი მანანა ბაბაშვილი.

ქალბატონო მანანა, სექტემბერში, რამდენადაც ვიცით, ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართული კულტურის დღეები გაიმართა. თქვენ დელეგაციის ოფიციალური წევრი ბრძანდებოდით, გვაინტერესებს, რა მიზანი ისახავდა ეს ღონისძიება?

— სექტემბრის დამლევს ჯორჯიის შტატის ქალაქ ატლანტაში მოწყობილი კულტურის დღეები თავისი მასშტაბით ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, რაც კი დღემდე ამ სახის ღონისძიება ყოფილა ამერიკის შეერთებულ შტატებში. აღნიშნული დღეების მიზანს გარდა საკუთრივ ქართული კულტურის პროპაგანდისა, წარმოადგენდა ინფორმაციის გატანაც ჩვენი ქვეყნის წარსულისა და დღევანდელი პოლიტიკური ვითარების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ქართული კულტურის დღეების მოსაწყობად საჭირო თანხა მთლიანად ამერიკამ გაიღო, რაც ქართული კულტურით დაინტერესებითა და ქართველი ხალხისადმი ამერიკელთა სიმპატიებით აიხსნება.

ამ ბოლო წლებში განსაკუთრებით 9 აპრილის შემდეგ საქართველომ დასავლეთის ყურადღება უპირველეს ყოვლისა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობით მიიპყრო. ჩვენთან მიმდინარე პროცესები დღესაც აისახება ამერიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. ჩვენი იქ ყოფნის დროს (რაც დაემთხვა საქართველოში მძიმე პოლიტიკურ კრიზისს!) პრესა და ტელევიზია ყოველდღე აშუქებდნენ საქართველოს ამბებს. დავინტერესდი, თუ მოსახლეობის რა რაოდენობა უყურებდა ახალ ამბებს. როგორც იქ მითხრეს — თითქმის ამერიკელების სამი მეოთხედი. ცხადია, მოსახლეობის ამ ნაწილმა იცის საქართველოს არსებობა, მაგრამ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს, ან არაფერი იცის ჩვენი ისტორიის შესახებ. მაგრამ როდესაც ვუხსნით, რომ ჩვენ მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ერი ვართ, თავისებური კულტურითა და ხედვით, ეს მათზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს. პირად კონტაქტებს ზოგჯერ დიდი მნიშვნელობა აქვს თავისი შედეგებით. ასეთი იყო ჩემთვის ატლანტის ხელისუფლების წარმომადგენელთან ქ-ნ მერი დევისთან შეხვედრა, რომელიც ისე დაინტერესდა ჩვენი ქვეყნით, რომ სურვილი გამოთქვა, თუ საქართველოდან შესაბამის ლიტერატურას გავუგზავნით, ისინი ხალისით შეიტანენ საქართველოს ისტორიას სასწავლო პროგრამაში. სასიამოვნოა, რომ ეს ინიციატივა ეკუთვნით ამერიკელებს. დღეს ამერიკაში საქართველოს რომ იცნობენ, „ვაშინგტონ ტაიმსის" კორესპონდენტებიც ადასტურებენ. როდესაც ჩეჩნეთის ამბებს ასახავს, გაზეთი წერს, რომ ეს ქვეყანა საქართველოს ჩრდილოეთით მდებარეობს. ჩემი ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამაც, რომ ამერიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში დღემდე მოგვიხსენიებენ არა როგორც საქართველოს რესპუბლიკას, არამედ როგორც საბჭოთა საქართველოს, რაც უთუოდ დღესდღეობით ამერიკის ჩვენდამი დამოკიდებულების გამომხატველია.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნის დროს თქვენ ურთიერთობა გქონდათ პრესის, რადიოს და ტელევიზიის წარმომადგენლებთან, გაეცანით ამერიკელი ჟურნალისტების მუშაობის პრინციპებს, რას გვეტყოდით მათ პროფესიულ თავისუფლებასა და დემოკრატიულობაზე?

პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლებთან ურთიერთობისას თვალნათლივ დავინახე, თუ როგორ მუშაობენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ეს ჩვენთვის საინტერესო უნდა იყოს, ვინაიდან სწორედ პრესა და ტელევიზიაა დღეს საქართველოს განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში. მინდა დავიწყო იმით, რომ პრესის თავისუფლების პრინციპი საზღვარგარეთ მეცნიერების მთელი დარგია, რომელსაც თავისი კლასიკოსებიც ჰყავს ჟაკ ელიულის, ჰაროლდ ლასუელის, მარშალ მაკლუენისა და სხვათა სახით, ჩვენთან კი, სამწუხაროდ, ეს დარგი მეცნიერებისა არ არსებობს. განათლების უვარგისი სისტემა მძლავრი იარაღი იყო, მიმართული ქართველი ერის წინააღმდეგ. ამას გარდა, ჰუმანიტარული დარგები იმ სისტემაში, რომელშიც ვცხოვრობდით, გარკვეულ იდეოლოგიურ ზეგავლენას განიცდიდა. მეცნიერების ზოგიერთი სფერო კი საერთოდ უგულებელყოფილი იყო. ამიტომ, ჩემი აზრით, უდიდესად მნიშვნელოვანი იქნება ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ამ საგნის სწავლება, რაც მომავალში დილეტანტიზმისგან გვიხსნის. თავისუფალი ჟურნალისტი კი დამოკიდებულია კერძო საკუთრებასა და ლიბერალურ ეკონომიკაზე. აქ ერთგვარი ჯაჭვი იკვრება. თავისუფალ ეკონომიკას ქმნის თავისუფალი ადამიანი, ხოლო ადამიანი თავისუფალია, როდესაც მისი ქვეყანა დამოუკიდებელია.

აღსანიშნავია, რომ ამერიკაში, ევროპისგან განსხვავებით, არ არსებობს პრესის კანონი. მაგრამ როგორც ამერიკაში, ისე ევროპაში მასობრივი საინფორმაციო საშუალებათა მუშაობას არეგულირებს საბაზრო ეკონომიკა და კონკურენცია. მართალია, დასავლეთში არ არსებობს ცენზურა, მაგრამ არსებობს თვითცენზურა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჟურნალისტმა თავისი ქვეყნის პოლიტიკური ინტერესების გათვალისწინებით იცის, როდის რა ფორმით დაწეროს. ამიტომ პრესის თავისუფლება შეფარდებითია. საქმე ის არის, რომ რეკლამა ინახავს ამა თუ იმ გაზეთსა და ჟურნალს. ესენი კი თავის მხრივ ცდილობენ არ გააღიზიანონ დამკვეთნი. ამიტომ ამერიკელ მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, დამოუკიდებელი გაზეთები დამოკიდებულნი არიან დამფინანსებლებზე. ამ პრინციპებზე დაყრდნობით ამერიკული გაზეთი „იუ. ეს. თუდეი" არ იყენებს რეკლამას, რითაც ხაზს უსვამს თავის სრულ დამოუკიდებლობას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ექსპერიმენტები და ცდები გაზეთისა ან ჟურნალის რეკლამის გარეშე გამოცემისა უშედეგოდ დამთავრდა.

დასავლეთის თითქმის ყველა ქვეყანაში მთავრობას აქვს თავისი ტელევიზია, რომელიც მას ექვემდებარება, ბოლო წლებში გაჩნდა კერძო ტელეკომპანიები. აღსანიშნავია, რომ დასავლეთის ტელევიზია ძირითადად დეპოლიტიზირებულია და უფრო გასართობია (ფილმები, რეკლამა, შოუ და სხვა). ითვლება, რომ დასავლეთში პოლიტიკის ასპარეზია პარლამენტი და არა ტელევიზია. ამ პრინციპის შესაბამისად, საერთოდ გამორიცხულია, რომ დამარცხებულმა პარტიამ კომპენსაცია ტელევიზიის ხარჯზე მოახდინოს. მოგეხსენებათ, რომ ყოველი წუთი იქ უზარმაზარ თანხებთან არის დაკავშირებული. ამიტომაც შეუძლიათ, რომ თვით პრეზიდენტის სიტყვაც კი შეკვეცონ, თუ კი ის კომერციული თვალსაზრისით წამგებიანია. როგორც ერთ-ერთი კერძო ტელეკომპანიის ჟურნალისტმა პირად საუბარში მითხრა, არცთუ იშვიათად ხდება სიუჟეტის დაჭრა, რაც, მოგეხსენებათ, ცვლის ან სიმძაფრეს უკარგავს აზრს. ამერიკელი ჟურნალისტები შესანიშნავად ფლობენ განსხვავებული აზრის ზომიერ კალაპოტში ჩასმის უნარს, გარკვეული ხერხებით უჩვენებენ იმასაც, რომ თქვენი შეხედულება არ არის გაზეთის პოზიცია. როცა ჟურნალისტი რედაქციაში მიდის სამუშაოდ, მან იცის, რომ ყველა გაზეთს აქვს თავისი კურსი და მიმართულება. მან იცის ისიც, რომ, თუ ამ კურსს მხარს აუბამს, მისი კარიერა გარანტირებულია. ცხადია, ასეთი დამოკიდებულება და კომპრომისი გავლენას ახდენს მის ობიექტურობაზე. თუ ჟურნალისტი არ გაჰყვება გაზეთის პოლიტიკურ კურსს, თვითონვე ტოვებს ამ გაზეთს. ამ საკითხებთან და საზოგადოდ ამერიკულ პრესასთან დაკავშირებით საუბარი მქონდა ვაშინგტონში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულესთან ბატონ გივი კობახიძესთან. რომელსაც ჩვენი მკითხველები კარგად იცნობენ ქართულ პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციებით. ბატონმა გივიმ აღნიშნა, რომ მისი და სხვა ქართველების წერილები, მიმართული საქართველოს დისკრედიტაციის წინააღმდეგ და გაგზავნილი სხვადასხვა ამერიკულ გაზეთში, არაერთხელ ზრდილობიანი უარით დაუბრუნებიათ. ამერიკელი ჟურნალისტების მუშაობის სტილისა და პრინციპების თვალსაზრისით საინტერესოა ბრედლისა და უაიტის წიგნი, რომლებშიც ამერიკული პრესის მეცნიერული შესწავლის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ ამერიკელი ჟურნალისტები ძირითადად თავისი სახელმწიფოს პოლიტიკურ კურსს ადგანან და იცავენ ქვეყნის ინტერესებს. როცა ამერიკაში და საზოგადოდ დასავლეთში საკითხი დგება: ეროვნული ინტერესები თუ დემოკრატია, ამა თუ იმ პრინციპის დაცვა, ისინი წინ ეროვნულ ინტერესებს აყენებენ და ამისთვის არ ერიდებიან არც დემოკრატიული პრინციპების დარღვევასა და არც დეზინფორმაციას. ასე მაგ. „ვაშინგტონ პოსტის" კორესპონდენტმა დევიდ რემნიკმა დაწერა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი განუდგა მთავრობას და დადგა ოპოზიციის გვერდით. „ასოშიეიტედ პრესის" სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, ექიმმა გია აბესაძემ თავი დაიწვა საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიასადმი პროტესტის ნიშნად. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს ამერიკელი კორესპონდენტი თბილისში იმყოფებოდა და შეეძლო ფაქტების შემოწმება.

სხვათა შორის, ასეთივე დეზინფორმაციას ეწეოდა „სი ენ ენი" ჩვენი იქ ყოფნის დროს. 4 ოქტომბრამდე რამდენიმე დღით ადრე „სი ენ ენმა" გადმოსცა ცნობა, რომ მთავრობის სახლის წინ შეტაკებისას დაიღუპა 15 ადამიანი. ცხადია, რომ ასეთი დეზინფორმაციები შეგნებულად კეთდება და ხელს უწყობს ამერიკაში გარკვეულ პოლიტიკურ ძალებს, რომელნიც მხარს უჭერენ გორბაჩოვს და მიზანშეწონილად არ მიაჩნიათ სსრკ დაშლა. ასეთი მასალებით ამკვიდრებენ აზრს, თითქოს რესპუბლიკებს არ შეეძლოთ დამოუკიდებლად არსებობა. ისმის კითხვა, რამდენად თავისუფალია ჟურნალისტი, რომელიც გარკვეული პოლიტიკური წრეების ინტერესებისთვის ამახინჯებს ინფორმაციას.

თუ რამდენად ობიექტურად აშუქებენ დასავლეთში საქართველოში მიმდინარე პროცესებს, იმის შესახებ არაერთხელ დაწერილა. რას გვეტყოდით თქვენ?

საქართველოს და მისი პრეზიდენტის დისკრედიტაცია გასული წლის დეკემბრიდან დაიწყო. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მოსკოვის საგიტაციო მანქანა ჩაერთო მთელი დასავლეთის მასშტაბით. ცხადია, ეს პროპაგანდა მიმართულია საქართველოს მთლიანობისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. ზოგჯერ უცხოურ პრესაში ჩნდება ისეთი მასალაც, რომელიც წინ უსწრებს მოვლენებს. მაგალითად, მრავალპარტიული არჩევნების წინ, 1990 წ. 28 ოქტომბრამდე. გერმანულ გაზეთ „ფრანკფურტერ ალგემაინეში" იყო ასეთი ცნობა, რომ, თუ მრავალპარტიულ არჩევნებში ეროვნული ძალები გაიმარჯვებენ, სიტუაცია გამწვავდება სამხრეთ ოსეთში. რამდენიმე თვის უკან ინგლისური ჟურნალი „ეკონომისტი" (2 მარტი, 1991), იმითაც დაინტერესდა, თუ რატომ არ ატარებს საქართველოში მოსკოვი ისეთივე პოლიტიკას, როგორსაც ბალტიისპირეთში (იმ დროს საბჭოთა ჯარითა და ტანკებით სურდათ ვ. ლანდსბერგისის დამხობა და პარლამენტის გარეკვა). ამაზე ჟურნალისტი პასუხობს: იმას, რასაც მოსკოვი ბალტიისპირეთში აღწევს ტანკების საშუალებით, საქართველოში ზოგიერთი ქართველის დახმარებით შეძლებს.

ქართველი ხალხი მომავლის გზებს სახავს

რაც შეეხება საქართველოდან ინფორმაციების მიწოდებას, ჩვენ კვლავ ორგანიზებული დეზინფორმაციის ობიექტი ვართ, რადგან თავიდანვე სსრკ მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ავანგარდში ვიყავით. მოგეხსენებათ, რომ საქართველო პირველი იყო მრავალპარტიული არჩევნებითა და სხვადასხვა რეფერენდუმებით, მაგრამ, სამწუხაროდ, პირველია, საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული არასასურველი მასალის გატანითაც. იმისათვის, რომ ერთმა ქვეყანამ ცნოს მეორე ქვეყნის დამოუკიდებლობა, არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას, თუ როგორი პოლიტიკური სისტემაა ამ ქვეყანაში, ან როგორია პრეზიდენტის იმიჯი. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრია, და მის შესახებ არავინ აღნიშნავს, რომ იქ დიქტატურაა, დამოუკიდებელ ქვეყნად მაინც არ ცნობენ. აშკარაა, რომ ამას სხვა მიზეზები აქვს.

ჩვენი დელეგაციის იქ ყოფნის დროს ამერიკული ტელევიზია თითქოს გამიზნულად უჩვენებდა ერთსა და იმავე უსიამოვნო კადრს: არეულ თბილისის ქუჩებში მოსიარულე შეიარაღებულ ქართველებს. მალე იუგოსლავიასთან ერთად გამოვცხადდით საშიშ რესპუბლიკად, რომელთანაც ურთიერთობა სახიფათოა. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტთან არსებულმა მოგზაურობის ბიურომ მოუწოდა მოქალაქეებს თავი შეეკავებინათ საქართველოში წასვლისგან. ჩაიშალა ამერიკელ ბიზნესმენთა ჯგუფის გამომგზავრება. გარდა ამისა, ამერიკის ყველა შტატის საქმიანი წრეების თითო წარმომადგენელი უნდა შეკრებილიყო ნიუ-იორკში და ჩამოსულიყო საქართველოში. უნდა ჩატარებულიყო ექიმთა კონგრესი. მათ უსასყიდლოთ ჩამოჰქონდათ აპარატურა და მედიკამენტები. მსგავსი ბლოკადა კი, ცხადია, ყველა ქართველს შეეხება, განურჩევლად პოზიციისა.

საქართველოს დიქტატურულ ქვეყნად წარმოსახვას ცდილობს არა მხოლოდ ამერიკელი, არამედ ზოგიერთი ევროპელი ჟურნალისტიც. საფრანგეთში ძალიან ძლიერია რუსული ემიგრაცია, რომელიც ძველებურად ებღაუჭება მათთვის დამღუპველ ლოზუნგს: ერთიან, განუყოფელ რუსეთს. ამას წინათ გაზეთმა „ფიგარომ" ქართველები იმ ბარბაროსებად გამოიყვანა, რომლებიც ჩაგრავენ ოსებს. ხოლო ჟურნალმა „პუენ დიუ ჟურმა" პირდაპირ დაწერა, რომ მხარს უჭერს სამხრეთ ოსეთის რუსეთთან შეერთებას. ამ დროს საფრანგეთი თავის კონსტიტუციაში (ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს ქვეყანა პრესის თავისუფლებისა და დემოკრატიის ეტალონად მიიჩნევს თავს), არც კი ცნობს ეროვნული უმცირესობების უფლებებს, ბრეტანელებს, კორსიკელებს და სხვებს არა აქვთ არამც თუ ავტონომიები, არამედ სკოლებიც კი საკუთარ ენაზე, არავის აზრად არ მოუვა საფრანგეთის ბასკების ესპანეთის ბასკებთან გაერთიანების საკითხის დასმა. ასე რომ, ცხადზე ცხადია, ყველას თავისი ინტერესები აქვს და მათგან გამომდინარე მოქმედებს, ხოლო ზოგადსაკაცობრიო პრინციპებს, და მათ შორის დემოკრატიას — მხოლოდ მაშინ იხსენებენ, როცა ის სხვას ეხება, თვითონ კი იგივე პრინციპებს ყოველ ნაბიჯზე არღვევენ, თუ ეწინააღმდეგება მათ ეროვნულ ინტერესებს. ამიტომ ქართველი ერის ინტერესებს ნუ გადავაყოლებთ აბსტრაქტულ ქიმერებს. ნუთუ იმ ქართველებს, რომლებსაც მოსკოვსა და დასავლეთში გააქვთ ინფორმაცია, რომ საქართველოში დემოკრატია არ არის, სჯერათ, რომ მოსკოვსა და დასავლეთს მართლა შესტკივა ამაზე გული? განა ისტორიული გამოცდილება არაფერს გვეუბნება? განა ამის პასუხს თვითონ საქართველოს ისტორია არ იძლევა? 1918-1921 წლების საქართველოს უშველა იმან, რომ ის დემოკრატიულ ქვეყნად აღიარა თვით დასავლეთმა? განა ამის გამო დასავლეთმა მხარი დაუჭირა საქართველოს და დაეხმარა ბოლშევიკური აგრესიის მოგერიებაში? ცნობილია, რომ საქართველოში ინგლისის წარმომადგენლის ოლივერ უორდროპის პროტესტის ნიშნად გადადგომის მიზეზი ის იყო, რომ ინგლისი გაურიგდა ბოლშევიკურ რუსეთს და ამით საქართველო ტოტალიტარიზმისთვის გაწირა. ინგლისმა თავისი ინტერესები უფრო მაღლა დააყენა და საჭიროდ ჩათვალა, როგორც აღვნიშნეთ, ბოლშევიკურ რუსეთთან კავშირი და გარიგება. როცა ყველაფერი საქართველოსთვის სავალალოდ დამთავრდა, ინგლისის ელჩმა პოლკოვნიკმა სტქსმა თავის მემორანდუმში აღნიშნა: საქართველო, უძველესი ისტორიისა და კულტურის ქვეყანა, დასავლეთმა გასწირაო. მან ისიც იწინასწარმეტყველა, რომ საქართველოში დაიწყებოდა საშინელი რეპრესიები. იგი მორალურ პასუხისმგებლობას ქართველი ხალხის თავზე დატრიალებული ტრაგედიების გამო აკისრებდა ინგლისს და დასავლეთს, რომლებმაც საქართველოს მხარდაჭერა არ აღმოუჩინეს. თუ როგორ წარიმართა ამის შემდეგ მოვლენები, ყველამ კარგად ვიცით. 70 წელი საშინელ ტოტალიტარულ რეჟიმში რომ ვიმყოფებოდით, ამაში დასავლეთმაც შეასრულა გარკვეული როლი. დღეს კი იგივე დასავლეთი დანგრეულ და განადგურებულ ქვეყანას გვიკიჟინებს, რომ არა გვაქვს დემოკრატიული ოაზისი.

როგორ ფიქრობთ, რა არის საჭირო იმისთვის, რომ საქართველო მოწინავე დემოკრატიულ ქვეყნად იქცეს?

ტოტალიტარული სისტემის დაშლას და სოციალიზმიდან დემოკრატიულ სისტემაზე გადასვლას დრო სჭირდება. ამისათვის საჭიროა რადიკალური ეკონომიკური ცვლილებები და ცხოვრების გარკვეული დონე, განათლების სისტემის ძირეული შეცვლა და სხვა. საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ დემოკრატიის დამყარება არ არის დამოკიდებული ერთ ანდა რამდენიმე ადამიანის ნება-სურვილზე. ის არც დეკრეტით ცხადდება. დემოკრატია პროცესია, რომელიც ეფუძნება არსებული ეკონომიკური სისტემის შეცვლას კერძო საკუთრებითა და საბაზრო ეკონომიკით, რისკენაც დღეს გეზი აქვს აღებული საქართველოს. სრულფასოვანი დემოკრატიის დამკვიდრება როდესაც ჩვენთან 200 000 უცხო ქვეყნის ჯარისკაცია, და საკუთარ საზღვრებსაც კი ფაქტობრივად ვერ ვაკონტროლებთ, ინსპირირებული ეთნოკონფლიქტების, სიღარიბის, ეკონომიკური ბლოკადისა და დესტაბილიზაციის განუწყვეტელი ცდების პირობებში ცოტა კურიოზულად. ხომ არ ჟღერს? რას იტყვიან ამის თაობაზე მომავალი ისტორიკოსები? განა დასავლეთში დემოკრატიის სტაბილიზაცია მხოლოდ მას შემდეგ არ მოხდა, რაც ეკონომიკამ გარკვეულ მაღალ დონეს მიაღწია, რითაც შესაძლებელი გახდა ქონებრივი დიფერენციაციის შედარებით შერბილება და გარკვეული სოციალური ჰარმონიის მიღწევა? მაგრამ დასავლეთშიც დემოკრატიის მექანიზმი ძალზე მოქნილია და აქვს თავდაცვის დიდი უნარიც. დემოკრატია მეტ-ნაკლებად მკაცრდება ან მისი ლიბერალიზაცია ხდება იმის მიხედვით, თუ რა სიტუაციაა ქვეყანაში და როგორია საერთაშორისო ვითარება. ომის დროს, როგორც ცნობილია, დემოკრატია. იზღუდება, წესდება ცენზურა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე, ასე მოიქცა ამერიკა სულ ახლახან სპარსეთის ყურეში ომის დროს. ასეთი რამ ხდება ეკონომიკური კრიზისების და დესტაბილიზაციის დროს. ნიშანდობლივია, რომ ასეთ ვითარებაში პრესის და საერთოდ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ტონი ძალზე ფრთხილი ხდება. სწორედ ამ დროს იჩენს თავს მაღალი პოლიტიკური კულტურა. ეს კეთდება იმისთვის, რომ ხალხი არ გააღიზიანონ და არ მიაყენონ ფსიქოლოგიური ტრავმა. ომისა და კრიზისის დროს, როგორც წესი, ხელისუფლება მკაცრდება. მაგალითად, ომისშემდგომი საფრანგეთი მძიმე კრიზისიდან გამოიყვანა დე გოლის ძლიერმა ხელისუფლებამ. სხვათა შორის, დე გოლის მოწინააღმდეგენი მის მმართველობას ავტორიტარულს უწოდებდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით კომუნისტები აქტიურობდნენ. იმდროინდელი საფრანგეთის კომუნისტურ გაზეთებს რომ თვალი გადავავლოთ, დე გოლის ლანძღვა-გინებით არის აჭრელებული. უკანასკნელი მონაცემებით დადასტურდა, რომ როგორც საფრანგეთის, ისე მთელი დასავლეთის კომპარტიებს მოსკოვი აფინანსებდა. როგორც ისტორიკოსმა, ხაზი მინდა გავუსვა იმ გარემოებას, რომ პოლიტიკური მოღვაწის შეფასება გარკვეული პერიოდის გავლის შემდეგ ხდება. ამდენი ლანძღვა-გინება, რამდენიც წილად ხვდა დე გოლს, ალბათ, არც ერთ პოლიტიკურ მოღვაწეს არ რგებია, დღეს კი ის საფრანგეთის ეროვნული გმირია, რაც, სხვათა შორის, მოგვიანებით თვით ფრანგმა კომუნისტებმაც კი აღიარეს.

ამერიკაში 30-იანი წლების ეკონომიკური კრიზისის დროს რუზველტმა ხელისუფლება გაამკაცრა. 50-იანი წლების ამერიკაში, კომუნისტური აგრესიის საშიშროების დროს, რაც, ცხადია, სსრ კავშირის „დამსახურება" იყო, კომუნისტური იდეების პროპაგანდისათვის, ე. წ. მაკარტიზმის პერიოდში, ჟურნალ-გაზეთებს ხურავდნენ იმის გამო, რომ მათ ბრალად ედებოდათ კომუნისტებთან თანამშრომლობა ან უბრალოდ კომუნისტებისადმი სიმპათიები. იმართებოდა კრებები, სხვათა შორის თვით ჰოლივუდშიც კი, სწორედ მაშინ გამოვიდა ასპარეზზე რეიგანი, როგორც კომუნისტების დიდი მტერი. მაშინ ხალხს სამსახურებიდანაც კი ითხოვდნენ. ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ თავდაცვის ხერხებს მიმართავდა მსოფლიოში უძლიერესი სახელმწიფო როგორც სამხედრო ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. დღეს კი, როცა ამერიკა მ. გორბაჩოვის პოლიტიკას უჭერს მხარს და კომუნისტების აღარ ეშინია, იქ ხმები გაისმის: სსრკ-ში კომპარტიის ლიკვიდაცია დემოკრატიული არ არისო. ამას გარდა, ამერიკას შესანიშნავი ურთიერთობა აქვს ისეთ ავტორიტარული სისტემის მქონე ქვეყნებთან, როგორიცაა საუდის არაბეთი, ქუვეითი, სირია. საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ამერიკამ არ გასწირა ისეთი ნამდვილი დიქტატორიც კი, როგორიც სადამ ჰუსეინია. სხვათა შორის, როცა ამერიკას სჭირდებოდა გერმანიისთვის გარკვეული პოლიტიკის თავს მოხვევა, ნიურნბერგის პროცესი გამართა. დღეს კი, როცა ელემენტარული კანონიერება მოითხოვს სადამ ჰუსეინის გასამართლებას, ამერიკამ ფაქტობრივად ხელი შეუწყო მის დარჩენას საკუთარ პოსტზე. ეს მოხდა ქურთი ხალხის ინტერესების შელახვისა და მსხვერპლის ხარჯზე. იქნებ ამერიკა ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ასე სწრაფად დაამარცხებდა სადამ ჰუსეინს. ამიტომ მის დასასუსტებლად ქურთები აჯანყებისთვის წააქეზა. როცა მოვლენები სწრაფად განვითარდა და ამის შემდეგ სადამ ჰუსეინი ქურთებს თავს დაესხა, ამერიკამ მხარდაჭერა აღარ აღმოუჩინა მათ. ათასობით ქურთი საცხოვრებელი ადგილებიდან აიყარა და დაიღუპა. ასე ხდება, როცა პრაგმატიზმი ბატონობს პოლიტიკაში. სხვათა შორის, იგივე მოხდა უნგრეთშიც 1956 წელს. მაშინ ამერიკელებმა უნგრელები წააქეზეს სსრკ-ის წინააღმდეგ და დახმარება აღუთქვეს. მერე კი სეირის მაყურებლის როლში აღმოჩნდნენ. ცნობილია, რომ ამერიკული დაზვერვის უფროსმა, რომელიც ამ ოპერაციას ხელმძღვანელობდა, უნგრელი ხალხის წინაშე მორალური დანაშაულის გამო თავი მოიკლა. ასე რომ, როდესაც დასავლეთის ქვეყნების წინაშე დგება საკითხი ეროვნული ინტერესები თუ ზოგადსაკაცობრიო იდეალები და დემოკრატია, ისინი წინ ყოველთვის ეროვნულ ინტერესებს აყენებენ. სხვათა შორის, სწორედ ამ პრინციპიდან გამომდინარე ომის, ეკონომიკური კრიზისებისა და დესტაბილიზაციის ვითარებაში საკუთარი ქვეყნის გადარჩენის მიზნით სხვადასხვა პარტია და ხელისუფლება ერთიანდება და წყდება ყოველგვარი პოლიტიკური ბრძოლა მათ შორის. ჩვენ კი, ქართველები, უმძიმეს ვითარებაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვფიქრობდეთ საკუთარი ერის გადარჩენაზე. დესტაბილიზაციით კიდევ უფრო არ უნდა ვასუსტებდეთ ისედაც დასუსტებულ საქართველოს და „ზოგადსაკაცობრიო" იდეებისთვის ერთმანეთის პირისპირ არ უნდა დავდგეთ. ნუთუ არ გვეყო, რაც სისხლი ვღვარეთ სოციალიზმის იდეებისთვის?! განა რამდენს შეუძლია გაუძლოს მცირე რიცხოვანმა ერმა, რომელმაც გამოიარა ომებისა და რეპრესიების საშინელება? ძალადობით არ შეიძლება არც ერთი საკითხის გადაჭრა. ძალადობა ძალადობას შობს და რეგრესისაკენ მიაქანებს ერს. მხოლოდ მშვიდობიანი, სამართლებრივი პოლიტიკური ბრძოლის გზაა ერთადერთი, რომლითაც უნდა იაროს საქართველომ.

გქონდათ თუ არა რომელიმე ამერიკელ პოლიტიკოსთან საუბარი საქართველოს ცნობის საკითხზე?

ერთმა ამერიკელმა პოლიტიკოსმა, რომელსაც შეგნებულად არ ვასახელებ, ჩემთან საუბარში აღნიშნა, რომ უყვარს რა თავისი ქვეყანა, ცხვენია იმ პოლიტიკური კურსისა, რომელსაც დღეს ადგას ამერიკა საქართველოს მიმართ. იგი 30 წლის წინ ყოფილა სტუმრად საქართველოში და იცნობს ჩვენს ქვეყანას და ხალხს. მისი აზრით, მთელი ენერგია არ უნდა მივმართოთ იმისკენ, რომ ამერიკამ გვცნოს. მისი რჩევაა, თავდაპირველად გეზი ავიღოთ ევროპაზე და ევროპის ისეთ პატარა ქვეყნებზე, როგორიცაა დანია, ისლანდია, ნორვეგია, შვეცია და ა. შ. აგრეთვე იმ ქვეყნებზე, რომლებმაც თავის დროზე აღიარეს დემოკრატიული საქართველო. ეს შექმნის ისეთ მორალურ, პოლიტიკურ და დიპლომატიურ ატმოსფეროს, რომელიც გავლენას მოახდენს სხვა დიდ სახელმწიფოებზეც, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებზეც. ასე მოიქცნენ ბალტიისპირეთის რესპუბლიკები.

ბოლოს ისიც დასძინა, ამერიკელების სამარცხვინოდ უნდა ითქვას, რომ მხოლოდ 38-ე ქვეყანა ვიყავით იმათ შორის, რომლებმაც ბალტიისპირეთის რესპუბლიკები ცნეს, ისიც დიდი ყოყმანის შემდეგ.

როგორ უყურებენ ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს პრეზიდენტის მიერ მოსკოვის პუტჩის შეფასებას?

ამერიკელებს ძალიან აინტერესებთ მოსკოვის პუტჩის ბატონ ზვიად გამსახურდიასეული ვერსია. ჟურნალისტები ამის შესახებ მეც მეკითხებოდნენ. თუ დადასტურდა მ. გორბაჩოვის კავშირი პუტჩთან, საქართველოს პრეზიდენტის რეიტინგი ძალიან აიწევა მთელ მსოფლიოში, — ასეთია მათი აზრი.

გქონდათ თუ არა შეხვედრები პოლიტიკოს ქალებთან?

შეხვედრა მქონდა ქ-ნ მერი დევისთან და ეს უკვე მოგახსენეთ. აღსანიშნავია, რომ ქალის, როგორც პოლიტიკოსის როლი და გავლენა დასავლეთში ძალზე გაიზარდა. ბოლო წლებში მსოფლიო პოლიტიკის ასპარეზზე არაერთი ნიჭიერი ქალი გამოჩნდა. სხვათა შორის მოღვაწეობის ამ სფეროში ქალის ემანსიპაცია სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. პოლიტიკოსი ქალის რეიტინგი ძალიან ასწია მარგარეტ ტეტჩერის მოღვაწეობამ. მიმაჩნია, რომ ქალის თანდაყოლილი შინაგანი ინტუიცია ცოდნასთან და ნიჭთან ერთად განსაკუთრებულ შედეგებს იძლევა პოლიტიკურ ასპარეზზე. ქართველი ქალი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი გონიერებით, ტაქტითა და სილამაზით. ამაზე წერენ შუა საუკუნეების როგორც ევროპული, ასევე აღმოსავლური წყაროები. ამიტომ მომავალი პოლიტიკოსების აღზრდისას, ქართველი ქალის ეს თვისებები და უნარი უნდა გავითვალისწინოთ.

როგორ გესახებათ საქართველოს მომავალი?

ჩვენ თანამედროვენი ვართ რთული ისტორიული პროცესებისა, რომლებიც ჯერ კიდევ 1917 წელს იყო პროგნოზირებული. ადრე თუ გვიან ეს მოვლენები უნდა განვითარებულიყო. ცხადია, საზოგადოების ერთი სისტემიდან მეორეში გადასვლა ძალზე მტკივნეული პროცესია, მაგრამ დროთა განმავლობაში ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება. ამას დრო და მოთმინება სჭირდება. ქართველი ხალხი ურთულეს გეოპოლიტიკურ ვითარებაში გადარჩა და ამის ერთ-ერთ მიზეზად ქართველი ადამიანის შინაგანი წონასწორობა მიმაჩნია, შემწყნარებლობა სხვისი რწმენისა და რჯულის, სხვა ერებისადმი. შემწყნარებლები უნდა ვიყოთ ერთმანეთის მიმართაც. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გრძელდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ჩვენი წინაპრების დარდი და ოცნება საქართველოს დამოუკიდებლობისა და ქართველი ხალხის გადარჩენისა დღეს ჩვენ, თანამედროვეებს, გვაკისრია. დამოუკიდებლობა ყველაფერს თავის ადგილზე დააყენებს და ყველას თავის ადგილს მიუჩენს, დაცხრება ვნებათაღელვანი. ადამიანები იპოვიან თავის თავს. ახალი საზოგადოება ჯანსაღ საფუძველზე აღმოცენდება. მაგრამ უკვე ახლა ძალა და ენერგია არ უნდა დავიშუროთ, რომ აღვზარდოთ მომავალი პროფესიული კადრები, მომავალი პოლიტიკოსები და დიპლომატები. არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ამ მხრივ უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები. სპეციალობით აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსი ვარ და მეამაყება, რომ ეს პირველი ნაბიჯი აღმოსავლეთმცოდნეებმა გადადგეს. საქართველოს არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობის ასოციაციასთან, რომლის დამფუძნებლები არიან აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოება, შეიქმნა აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი, რომლის მიზანია მომავალი დიპლომატების, საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტების, ჟურნალისტ-პოლიტოლოგებისა და მთარგმნელ-რეფერენტების აღზრდა. ეს აუცილებელია თანამედროვე ეტაპზე საქართველოს რესპუბლიკის მზარდი საერთაშორისო ურთიერთობებიდან გამომდინარე, ასე რომ, ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევთ წინ, ჭეშმარიტი ცოდნა და პროფესიონალიზმი უნდა იქცეს მძლავრ იარაღად მომავალი თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოსი. მოვლენების განვითარებას ოპტიმისტურად ვუყურებ. მწამს საქართველოს მომავალი. ამის დასტურია საქართველოს ისტორია და ქართველი ხალხის გონიერება და სიცოცხლისუნარიანობა. განა შემთხვევითია, რომ ის ქვეყნები და იმპერიები, საქართველოს მოსპობით რომ ემუქრებოდნენ, დღეს აღარ არსებობენ. ქართველი ხალხი კი მომავლის გზებს სახავს.

ესაუბრა ეკა ლეჟავა

წერილი ჟურნალ „ტაიმ"-ის ოფისიდან

ამერიკის შეერთებული შტატების ჟურნალ „ტაიმ"-ში ა. წ. 7 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა ცნობა, თითქოს შავნაბადის აღების დროს დაიღუპა 60 აჯანყებული გვარდიელი. ახლახან, საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო წერილი ჟურნალ „ტაიმ"-ის საგამომცემლო ოფისიდან, რომელიც გვინდა გავაცნოთ ჩვენს მკითხველს:

„შავნაბადაზე 60 აჯანყებული ეროვნული გვარდიელის დაღუპვის შესახებ ცნობა თავდაპირველად საკდესმა გამოაქვეყნა, ჩვენმა მოსკოველმა კორესპონდენტებმა გვითხრეს, რომ ამ ინციდენტის ცნობები მიიღეს საკდესის და რეიტერის მეშვეობით და რომ ისინი დაეყრდნენ საკდესის შეუმოწმებელ ინფორმაციებს, როდესაც ეს ცნობა პრესაში ქვეყნდებოდა, ჩვენ არ მოგვეცა საშუალება შეგვეჯერებინა სააგენტოებისა და საქართველოს მთავრობის მიერ მოწოდებული ურთიერთსაპირისპირო ინფორმაციები, მაგრამ საჭიროდ ჩავთვალეთ პრესის მეშვეობით ამ ფაქტის გამოქვეყნება. მოგვიანებით გავიგეთ, რომ აჯანყებული ეროვნული გვარდიის უფროსმა — თენგიზ კიტოვანმა თვითონვე აღიარა თავისი შეცდომა: მისი თქმით ეს წინასწარგანზრახული დეზინფორმაცია არ ყოფილა. ასევე გავიგეთ, რომ მთავრობის ცნობა ბანაკის მშვიდობიანად აღების შესახებ შავნაბადაზე მყოფმა სამმა აჯანყებულმა გვარდიელმა საქართველოს ტელევიზიით დაადასტურა.

ჩვენი წინდაუხედაობის გამო, ახლა ვხვდებით: გარკვევით უნდა მიგვეთითებინა, რომ თავდაპირველი ინფორმაცია შეუმოწმებელია. დიდად ვწუხვართ, რომ არა განზრახ, მაგრამ მაინც ვენდეთ ბატონი თენგიზ კიტოვანის დაუსაბუთებელ განცხადებას".

პატივისცემით, **ემი მაზერი**

გამოხმაურება

თუ სამართლებრივ ქვეყანას ვაშენებთ

კარგად ვიცი რა ქაღალდის დღევანდელი მწვავე დეფიციტი და საერთოდ საგაზეთო ფართობის შეზღუდული შესაძლებლობანი, თავდაპირველად არც კი ვაპირებდი მეპასუხა ბატონ ნუგზარ ფიფიას „ღია წერილზე", რომელიც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" დაიბეჭდა ა. წ. 25 ოქტომბერს.

ბატონო ნუგზარ, პირადად თქვენს მიმართ არავითარი პრეტენზია არ შეიძლება მქონდეს, რადგან უფლება გაქვთ თქვენი აზრი იქონიოთ. სამწუხარო ის არის, რომ თქვენი და თქვენი თანამოაზრეების აზრი ემთხვევა ქალაქ ზუგდიდის სასამართლოს მოქმედებას, თქვენი ამ საქმეში ზედმიწევნით ჩახედულება მაფიქრებინებს, რომ თქვენ დაგეკისრათ ქალაქ ზუგდიდის სასამართლოს ლაქამოსვრებული ღირსების დაცვის ამაო მისია.

აღსანიშნავია ისიც, რომ „ღია წერილით" თქვენ მხოლოდ უპერსპექტივო მისია კი არ იკისრეთ, არამედ, სადაც საქმე ეხება მართლმსაჯულებას, გამოიყენეთ უვარგისი საშუალება — ემოცია. მართლმსაჯულებაზე კი საჭიროა კანონის ენით ლაპარაკი. თქვენ კამათობთ ობიექტურობა-სამართლიანობაზე, პიროვნების პატიმრობაში აყვანის კანონიერებაზე, და კოდექსის „მუხლის აქ მოტანა სრულიად მიზანშეუწონლად" მიგაჩნიათ. არც ტყუილს ერიდებით: „22 წლის მოწიფული ვაჟკაცი-ო", 1972 წლის 12 ივლისს დაბადებულ კახა ალანიაზე ბრძანებთ.

ბ-ნო ნუგზარ, თქვენ ალბათ იცით, რომ ბრჭყალებში ჩაისმება მხოლოდ ციტატა (ამ შემთხვევაში, ჩემი წერილიდან) და თუ სადმე იპოვნით ფრაზას „ბავშვი, რომელსაც დედის რძე ჯერ კიდევ არ შეშრობია ტუჩებზე", თანახმა ვარ საჯაროდ მოვიხადო ბოდიში.

თუმცა ცდილობთ იურიდიულ სფეროში არაკომპეტენტურობას ამოეფაროთ, „ბოროტი ენები ამბობენო...", წერთ და არ ამთავრებთ, რომ ვერ შეგედავოთ, და კანონით პასუხი ვერ მოგთხოვოთ. ამიტომ ვფიქრობ გამოცდილ კაცთან მაქვს საქმე.

„არც მწვადი დაწვათ მაინცდამაინც და არც შამფური..." „არც დიდებას მოგიტანთ და არც პატივს" — წერთ და იგრძნობა თქვენი მრწამსი.

ამ პრინციპით არც მიცხოვრია და ვერც ვიცხოვრებ. სათქმელი პირდაპირ მითქვამს და ვიტყვი. მე იმითაც ვამაყობ (თუმც კი ვიცი, არაა ეს მოსაწონი საქციელი — სიამაყეზე მოგახსენებთ), რომ თქვენს „ღია წერილში" ვერც ერთ იურიდიულ ხარვეზზე თუ უზუსტობაზე ვერ მიმითითეთ, თქვენი მხრივ კი კანონის სრულ უპატივცემლობას იჩენთ.

ბატონო ნუგზარ, ჩვენ სამართლებრივ, დემოკრატიულ ქვეყანაში გვინდა ცხოვრება. მაშ, კეთილი ვინებოთ, პატივი ვცეთ და დავიცვათ კანონი. კანონის წინაშე ყველა თანაბარია! თქვენი განცხადება — „...თქვენის მხრიდან პატიმრის უფლებების დაცვა, არაბუნებრივად, თითქმის დემაგოგიურად" გვეჩვენებაო, მე მგონი არავის, თუნდაც ქართული მგრძნობიარე გულის პატრონს, არ ეკადრება.

ჩემი აზრით, ყველაზე მიუღებელი თქვენს წერილში ის არის, რომ გამოსჭვივის ტენდენცია, სასამართლომ კანონით კი არა, ემოციებით იხელმძღვანელოს.

ახლა, როცა საზოგადოება ისედაც დაძაბულია, ამგვარმა პრეცედენტებმა მხოლოდ გაუთვალისწინებელი შედეგი შეიძლება მოიტანოს. კარგად დაფიქრდით ამაზე და ნუ მიუშვებთ წყალს იმათ წისქვილზე, ვისაც არ სურს სამოქალაქო მშვიდობა, კანონის ბატონობა.

მინდა დავიჯერო, რომ თქვენს უკან არ იმალებიან ისინი, ვისაც ეხება ჩემი წერილი, ჯერ მაინც არ დამიკარგავს ჩემი გულუბრყვილო იმედი იმისა, რომ ოფიციალური პირები, რომელთაც ეს წერილი ეხება, გამცემენ პასუხს კანონის იმ უხეშ დარღვევებზე, რომელზეც მე ზემოთ აღნიშნულ წერილში ვილაპარაკე.

რაც შეეხება სასამართლო პროცესის გაჭიანურებას (რაც, თურმე, თქვენც გაღელვებთ), მოგახსენებთ, რომ იგი დღემდე არსებითად არ დაწყებულა და არც იმედი მაქვს, რადგან არცთუ ზერელედ შევისწავლე ზუგდიდის სასამართლო-პროკურატურა-გამოძიების მუშაობის სტილი და მეთოდები.

პატივისცემით
ვიქტორ დომუხოვსკი.

საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტიის გამგეობის დადგენილება

1990 წლის დეკემბერში დადებული ორგანიზაციული ალიანსი საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანულ პარტიასა და საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირს შორის იმ ფორმით, რა ფორმითაც იგი არსებობდა დღემდე, საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტიის გამგეობის გადაწყვეტილებით გაუქმებულია იმის გამო, რომ საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი მიღებულია პოლიტიკურ ბლოკ „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს" შემადგენლობაში, რომელიც თავად წარმოადგენს ალიანსის ტიპის გაერთიანებას და სადაც ერთიანდება ორივე ეს ორგანიზაცია.

საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტიის გამგეობა: ე. გოგუაძე, მ. ნებიერიძე, რ. იოსელიანი, ა. აბესაძე, გ. ჯანელიძე.

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი თორმეტგვერდიანია.

გულითადი სურვილი

წელს, ივლისის თვეში, შესრულდა დიდი ქართველი კომპოზიტორის, ქართველი ერის სათაყვანო შვილის, რევაზ ლაღიძის დაბადებიდან 70 წელი.

წლეულსვე, მარტში, გაზეთ „თბილისში" გამოვაქვეყნე წერილი, რომელშიც გამოვთქვამდი იმედს, რომ ჩვენი მუსიკალური საზოგადოებრიობა ჯეროვნად აღნიშნავდა ამ თარიღს, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ერთი საიუბილეო საღამოც კი არ გამართულა დედაქალაქში.

ჩემი აზრით, ეს მარტო უყურადღებობა კი არ არის, ეს არის დაუფასებლობა იმ კაცისა, ვისი შემოქმედებითი შთაგონების მთავარი წყარო უპირველესად დედასამშობლო იყო, ვისაც თავისი სამშობლო ფეხით ჰქონდა შემოვლილი და ვისაც, როგორც თვითონ ამბობდა: „ძილს უკრთობდა თავისი გაუხარელი ქვეყანა".

მე ვეკითხები საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობას, ფირმა „მელოდიის" ხელმძღვანელობას, ნუთუ ძალიან დიდი პრობლემაა რევაზ ლაღიძის გრამჩანაწერების გამოცემა, რომელთაც უკვე კარგა ხანია ელიან კომპოზიტორის შემოქმედების თაყვანისმცემლები?

რა დასამალია, რომ სიცოცხლეში ბატონი რევაზი ვერ მოესწრო ეროვნული მოძრაობის აზვირთებას. მან ხომ სიმღერად აქცია ილიას უკვდავი ლექსი „ჩემო კარგო ქვეყანავ" და ამით გაამხნევა ქართველი ერი (ეს სიმღერა ისე გაითავისა ქართველმა მსმენელმა, რომ ზოგიერთს ხალხურიც კი ჰგონია).

რევაზ ლაღიძის უაღრესად მდიდარი და ღრმად ეროვნული ნაწარმოებების გრამჩანაწერები ყველა ქართულ ოჯახში უნდა იყოს. აბა, ვის გულს არ ახარებს და სიამოვნებას არ ანიჭებს მისი სიმღერები, რომლებიც მარგალიტებად გააბნია ჩვენმა საყვარელმა კომპოზიტორმა.

ბევრი ფილმი დაამშვენა რევაზ ლაღიძის მუსიკამ. აბა, გავიხსენოთ: „განგაში", „საბუდარელი ჭაბუკი", „ნინო", „ქალაქის ნაამბობი", „კეთილი ადამიანები", „ხევისბერი გოჩა", „რაც გინახავს, ველარ ნახავ", „წუთისოფელი"... და უთუოდ, ამ სასიამოვნო ჰანგების ხელახლა მოსმენის სურვილი გაგვიჩნდება, მაგრამ, ამაოდ, მათ გრამჩანაწერებს ხომ პრაქტიკულად ვერსად ვერ ვნახავთ.

თხოვნით მივმართავ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობას, ამჯერად უკვე მეორედ, მოდით ღირსეულად დავაფასოთ ეს დასაფასებელი კაცი, თავისი ქვეყნის უდიდესი მოსიყვარულე, რომლის დამადასტურებელიც მისი ღრმად ეროვნული შემოქმედებაა. ვფიქრობ, ახლა მაინც არ დარჩება ეს სურვილი „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა"!..

რეზო ჩივიაშვილი,
თსუ იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი

მთავარი რედაქტორი მარიკა აბაიშვილი

მისამართი: 380096 თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14,
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მოადგილე 99-92-26;
განყოფილების რედაქცია 99-73-24.
[illegible]
[illegible] ქ. № 29.
შეკვეთა 64434.

რედაქციაში შემოსული მასალები
ავტორებს არ უბრუნდებათ

საქართველოს რესპუბლიკა